ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 12 ივლისი, 2018 №163 (7708) ფასი: 60 თეთრი

ფოთისა და ხობის ეპისკოპოსი დეკანოზ გიორგი მამალაძეს ციხეში მოინახულებს

გვ.4

10 ივლისიდან

მაკა სეფაშვილი

დანაშაული აღარ მოხდება

ქართული დეტექტივი ტომი 8

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

„ბოკერიას გუნდს კვირიკაშვილი „კრიშავდა“

გვ.2

ლადო სადღობელაშვილი: „პრემიერის შეცვლის შემდეგ „ევროპული საქართველო“ იძულებული გახდა, ნაციონალებს შერიგებოდა“

მალხაზ კობაური: „სმიტები ორმა უცხოელმა დახოცა და ისინი დამემუქრნენ, რომ ოჯახს ამომიწყვეტდნენ“

პროკურორი ყაზარაშვილი: „მალხაზ კობაურმა რაიან სმიტი იმიტომ მოკლა, რომ მან იარაღის დაუდევრად გამოყენების გამო შენიშვნა მისცა“

გვ.7

ალეკო ელისაშვილი: „მე მინდა, შევხვდე გიორგი მარგველაშვილს“

გვ.3

ივანიშვილს თუ სურს, ქვეყანა მართოს, მაშინ ახლა პრემიერ-მინისტრად თვითონ უნდა დამდგარიყო

სამართალი

გვ.7

რომელი ბიზნესმენის დაყაჩაღებას გეგმავდნენ ჩატაევთან ერთად ლიკვიდირებული პირები

„რუსეთი ოკუპანტია“ სტიკერების გაკვრისთვის 3 პირს 50-ლარიანი ჯარიმა შეუფარდეს

ოზურგეთში მიკროავტობუსში ხელყუმბარა აფეთქეს

ეკონომიკა

გვ.6

ქართულ სუნელებში ტყვიის შემცველობაზე ახალი ინფორმაცია ვრცელდება

მამუკა ბახტაძე: „წლის ბოლომდე უწყებების ავტოპარკი დაახლოებით 1.000 ავტომობილით შემცირდება“

გვ.2

გვ.6

54% რეკრეაციულია

გენგეგმის პროექტის თანახმად, თბილისის ტერიტორიის

ISSN 1987-9385

5 ანზორ აბრალავა: „ვადამდელი არჩევნებისთვის საფუძველი არ არსებობს“

3 ლია მუხაშავრია: „წულუკიანმა ხელისუფლების სათავეში მყოფ პირებთან კარგად ივაჭრა“

5 ზურაბ ბერდიანიშვილი: „ოსები თბილისშიც ჩამოდიან, მაგრამ ამის აფიშირებას ჩვენ არ ვახდენთ“

4 მამუკა გვაძაბია: „ნატოს სამიტის წინ ამერიკული ოჯახის დახოცვა შემთხვევითი არ მგონია“

„ბოკერიას გუნდს კვირიკაშვილი „კრიშავდა“

შორენა მარსაგიშვილი

ლადო სადღობელაშვილი: „პრემიერის შეცვლის შემდეგ „ევროპული საქართველო“ იძულებული გახდა, ნაციონალებს შერიგებოდა“

რატომ შერიგდნენ ნაციონალები და „ევროპული საქართველო“, შეუერთდება თუ არა მათ „გირჩი“, ვინ დააახლოვა ამერიკელებთან კვირიკაშვილი, რატომ აღარავის ენდობა ივანიშვილი? – ამ თემებზე „ახალ თაობას“ სამოქალაქო აქტივისტი ლადო სადღობელაშვილი ესაუბრება.

ლადო სადღობელაშვილი:

– „ახალ თაობასთან“ არაერთხელ მისაუბრია მთავრობაში მოსალოდნელ ცვლილებებზე. მარტის დასაწყისში, როცა პრემიერის პოსტზე ორი კანდიდატურა განიხილებოდა, გითხარით, რომ ამ დავაში მამუკა ბახტაძე დაწინაურდა. საბოლოო ჯამში, სწორედ ის გახდა საქართველოს პრემიერი. მისი სახით ივანიშვილს ძალიან ერთგული კადრი ეყოლება მთავრობაში.

– გიორგი გახარიას კანდიდატურა რატომ დაიწუნა, მას ბოლომდე არ ენდობა?

– რომ არ ენდობოდეს, შინაგან საქმეთა მინისტრად არ დანიშნავდა. მის გაპრემიერებაზეც სერიოზულად ფიქრობდა, მაგრამ ბოლოს შსს-ში დატოვა. მოგვწონს თუ არა გახარია, ის ამ სისტემაში რაღაცის გაკეთებას ახერხებს, გამუდმებით სამართებლის პირზე დადის, მაგრამ რაღაც გამოსდის. მისი სახით მალე, შესაძლოა, ქოცების ვანო მერაბიშვილი მივიღოთ.

მამუკა ბახტაძეს რაც შეეხება, ის პოლიტიკაში დიდად ჩახედული არაა, მაგრამ ივანიშვილის ოჯახთან ძალიან დაახლოებულია. ჩათვალეთ, რომ გინდა ივანიშვილი ყოფილა პრემიერი, გინდა ეგ. „ოცნების“ ლიდერი მოქმედ პრემიერს თავისი ოჯახის წევრად თვლის. ბახტაძე ბოლომდე უერთგულებს მას.

– ღარიბაშვილსაც ძალიან ენდობოდა ივანიშვილი. მათ ნათელმირონობაც კი აკავშირებდათ – ბერა ივანიშვილია ღარიბაშვილის ერთ-ერთი ბავშვის ნათლია.

– „ოცნების“ ლიდერი მასაც ენდობოდა, ღარიბაშვილს მისთვის არ უღალატია, მაგრამ მასთან დაკავშირებით მაინც გაჩნდა კითხვის ნიშნები. ეს კითხვები მის სიმამრსა და ცოლის ნათესავებს უკავშირდებოდა. რა იყო მართალი და რა ტყუილი, არ ვიცი, მაგრამ ე.წ. კახელების კლანზე ბევრი ჭორი გავრცელდა.

მოქმედ პრემიერს ასეთი სანათესავო არ ჰყავს, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ივანიშვილია მისი ოჯახი. „ოცნების“ თავკაცის მოთხოვნით ახალმა პრემიერმა ისეთი ხალხი შეიყვანა, ვისაც ბოლომდე ენდობა. ამ მხრივ თეა წულუკიანია გამონაკლისი.

– ფიქრობთ, რომ მთავარი მეოცნებე მას არ ენდობა?

– გონივრული ეჭვი მაქვს, რომ არ ენდობა.

– აბა რატომ დატოვა მთავრობაში?

– ამ ქალს აქვს ისეთი ინფორმაციები, რითიც ივანიშვილს აშანტაჟებს. წულუკიანის მოშორებაზე „ოცნებაში“ დიდი ხანია საუბრობენ. რამდენიმე ვერსიაც გამონახეს, მაგრამ არ გამოუვიდათ. თამარ ჩუგოშვილი თავის დროზე პარლამენტის ვიცესპიკერობას იმიტომ დასთანხმდა, რომ მას უთხრეს, ცოტა ხანში იუსტიციის მინისტრად გაგიშვებთო.

იმ პერიოდში აქტიურად საუბრობდნენ იმაზე, რომ წულუკიანს საფრანგეთში ელჩად უშვებდნენ. ეს ქალი თავისი ნებით არ წავიდა, „ოცნება“ მის გაშვებას ვერც ახლა ახერხებს.

დანარჩენ მინისტრებს ივანიშვილი ბოლომდე ენდობა. მას გარანტიები აქვს, რომ აღარ უღალატებენ.

– გინდათ თქვათ, რომ ვინც თანამდებობის მიღმა დატოვეს, ივანიშვილს ღალატობდა?

– ზოგმა უღალატა, ზოგმა – არა. ზოგი იმიტომ გაუშვეს, რომ ძველ კადრებად ითვლებოდა. კვირიკაშვილის კადრებს ძალიან მალე დაატოვებინებენ ხელისუფლებას. პირდაპირ არ დაერევიან, რაღაც დროის შემდეგ წმენდა დაიწყება. ღარიბაშვილის კადრებიც მისი წასვლიდან 1.5 წელიწადში დაიქნიეს.

წულუკიანის მსგავსად, კვირიკაშვილის მოშორებასაც რამდენჯერმე შეეცადა ივანიშვილი, მაგრამ ეს საქმეც გაჭიანურდა. ამ პიროვნებამ მამუკა ხაზარაძისა და მსგავსი ტიპების დახმარებით პოზიციები გაიმყარა. კვირიკაშვილის წინააღმდეგ ღია ომი მაშინ გამოაცხადეს, როცა ჯერ კიდევ ფინანსთა მინისტრის პოსტზე მყოფმა ბახტაძემ ხაზარაძეს დაარტყა.

ეს კარგად გათვლილი და ივანიშვილთან შეთანხმებული ნაბიჯი იყო. მოქმედი პრემიერი, წინამორბედებისგან განსხვავებით, ყველა გადაწყვეტილებას „ოცნების“ ლიდერს შეუთანხმებს.

– თქვენი აზრით, ღარიბაშვილი და კვირიკაშვილი ივანიშვილის გარეშე იღებდნენ გადაწყვეტილებებს?

– ყოველთვის არა, მაგრამ ასეთი შემთხვევები იყო. ისინი ცდილობდნენ რომ თავადაც გადაედგათ დამოუკიდებლად ნაბიჯები. ამით ისინი საკუთარი პოზიციების გამყარებას ცდილობდნენ.

კვირიკაშვილმა ამ მიზნით აქცია „ოცნების“ დანამატად ბოკერიას გუნდი. „ევროპული საქართველო“ მისი პროექტია.

– ამის შესახებ თქვენ ადრეც გვითხარით, მაგრამ ამბობდით, რომ ბოკერიას ივანიშვილიც მოწყალე თვალით უყურებდა. გამოდის, რომ „ევროპული საქართველო“ მხოლოდ კვირიკაშვილის პროექტი არ არის.

– „ოცნების“ ლიდერმა გიგა ბოკერიას მაშინ შეხედა მოწყალე თვალით, როცა ეს საქმეს დასჭირდა. მასთან ისინი ყოფილმა პრემიერმა მიიყვანა. ეს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ მოხდა. იმ არჩევნებზე ყოფილი ხელისუფლება ერთად გამოვიდა. არჩევნების დასრულებიდან მოკლე ხანში მათ სერიოზული დაპირისპირება მოუხდათ.

ის ხალხი, რომელიც შემდეგ „ევროპულ საქართველოში“ აღმოჩნდა, ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარეობიდან მიხეილ სააკაშვილის გადაყენებას ითხოვდა. სწორედ ამიტომ გამოუშვეს ციხიდან გიგი უგულავაც.

მართალია, სააკაშვილის გადაყენება ვერ შეძლეს, მაგრამ ნაციონალური მოძრაობა მაგრად ჩაძირეს. ამისთვის ევროქოცები ხელისუფლებამ დააჯილდოვა. 2017 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე გამოჩნდა, რომ მათ სერიოზული დაფინანსება ჰქონდათ.

– ამის მიუხედავად, მეორე ადგილზე მაინც ნაციონალური მოძრაობა გავიდა.

– მეორე ადგილზე გავიდნენ, მაგრამ „ევროპულმა საქართველომ“ ნაციონალები მაგრად ჩაძირა. კვირიკაშვილის პროექტმა სერიოზულად დააფრთხო პატრიოტთა ალიანსი. ეს პარტიაც „ქართული ოცნების“ შენაკადია და მათაც კარგად იცოდნენ, თუ რა გეგმები არსებობდა „ევროპულ საქართველოსთან“ დაკავშირებით.

კვირიკაშვილი, ივანიშვილთან შეთანხმებით, ბოკერიას ფრთას დაჰპირდა, რომ მთავარ ოპოზიციურ ძალად აქცევდა. ამაზე პრეტენზია პატრიოტთა ალიანსს ჰქონდა. მე გაგახსენებთ იმ აქციას, რომელიც ალიანსმა შარშან შემოდგომაზე გამართა.

– პარლამენტის წინ რომ მორიგეობით შიმშილობდნენ, იმ აქციას გულისხმობთ?

– მაგ აქციას ვგულისხმობ. მაგ აქციაზე მხოლოდ ერთი მოთხოვნა ჰქონდათ – გადადგეს გიორგი კვირიკაშვილი. როცა ამ მოთხოვნას აყენებდნენ, იქვე განმარტავდნენ, რომ „ქართულ ოცნებას“ არ უპირისპირდებოდნენ.

პატრიოტთა ალიანსი თვლიდა, რომ კვირიკაშვილს თუ გადააყენებდნენ, ბოკერიას გუნდი ჩაიძირებოდა. „ევროპულ საქართველოში“ ისინი მთავარ კონკურენტს ხედავდნენ.ა ლ ი ა ნ სის შიმშილობამ შედეგი გამოიღო. კვირიკაშვილი 2017 წლის ბოლოს უნდა გადამდგარიყო, მაგრამ ეს საქმე ჩაიშალა.

– რატომ ჩაიშალა?

– გასული წლის ბოლოს პარლამენტი მთავრობას ნდობას უცხადებდა. პრემიერ კვირიკაშვილს მაშინ ნიკა მელიასთან მოუხდა შეხლა-შემოხლა და კეთილები აგინა. ამის შემდეგ მისი წასვლა, უბრალოდ, არ შეიძლებოდა. ეს „ოცნების“ რეიტინგს მკვეთრად დააგდებდა.

– რატომ დააგდებდა „ოცნების“ რეიტინგს?

– ნაციონალების მიმართ საზოგადოებას მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულება აქვს. ქოცებს დღემდე იმას საყვედურობენ, რომ ნაცებთან კოალიცირებენ. ნაცების გინების გამო პრემიერი რომ წასულიყო, ამას ხალხი ვერ გაიგებდა.

კვირიკაშვილი მაინც წავიდა და ამ წასვლამ გამოაჩინა, რომ პატრიოტთა ალიანსი მართალი იყო.

– რაში იყო მართალი?

– იმაში რომ ხელისუფლებიდან მისი ჩამოშორება ბოკერიას გუნდს ჩაძირავდა.

– „ევროპულ საქართველოს“ ჩაძირულობის რა ეტყობა?

– ეტყობა და მერე როგორ. ჩაძირვის პირას რომ არ იყვნენ, ნაციონალებს არ შეურიგდებოდნენ.

– გია ბარამიძისა და გიგა ბოკერიას ერთობლივ განცხადებას ეძახით შერიგებას?

– შერიგებაა, აბა რა არის. კვირიკაშვილის სახით „ევროპულმა საქართველომ“ მფარველი დაკარგა. ახლა ისინი მარტო ვეღარაფერს გახდებიან და იძულებული არიან, ნაცებთან ერთად იმოქმედონ.

– ივანიშვილი მათ არ უპატრონებს?

– ივანიშვილს არც კვირიკაშვილისა და არც მისი პროექტების გაგონება არ უნდა. ამ კაცმა იმდენი რამე აღმოაჩინა, რომ „ევროპულ საქართველოში“ კი არა, „ოცნებაშიც“ აღარავის ენდობა.

– ეს შერიგება შემთხვევით მიხეილ სააკაშვილს ხომ არ უკავშირდება? ის ბოლო დროს ძალიან გააქტიურდა.

– სააკაშვილი არაფერ შუაშია. ის აქ ჩამომსვლელი არ არის. ესენი იმიტომ შერიგდნენ, რომ სხვა გზა არა აქვთ. მალე მათ სხვა გამოყოფილებიც შეუერთდებიან.

– ვინ გამოყოფილები?

– „გირჩი“.

– „გირჩი“ მარიხუანის თემაზეა გადართული და სცალიათ ამისთვის?

– მოიცლიან. გიორგი ვაშაძე და მისი „ახალი საქართველო“ უკვე დაუბრუნდნენ ნაციონალებს.

– შემთხვევით კვირიკაშვილიც ხომ არ აღმოჩნდება ამათ ორბიტაზე?

– ყოფილ პრემიერსა და მის გუნდს იმხელა პრობლემები აქვთ, მეეჭვება, ეს გაბედონ.

– რა პრობლემები?

– შესაძლოა, ვიღაცები დაიჭირონ. ზურაბ ალავიძესა და დიმიტრი ქუმსიშვილს ქვეყნიდან არ უშვებენ. ხომ წარმოგიდგენიათ, რა მოხდება, კვირიკაშვილი ნაცებთან რომ მივიდეს. ეს ადამიანი „ევროპულ საქართველოს“ კი კრიშავდა, მაგრამ ბოკერიასაც აქვს მასზე ამაგი.

– რა ამაგი აქვს ბოკერიას?

– კვირიკაშვილს ამერიკელებთან ძალიან კარგი ურთიერთობა აქვს. ვაშინგტონთან ყოფილ პრემიერს სიტუაცია „ევროპულმა საქართველომ“ დაულაგა.

– ყოფილ ხელისუფლებას „ოცნებაში“ პორტირებული ნაცებიც ხომ არ დაუბრუნდებიან?

– ნაცები თუ ხელისუფლებაში მოვლენ, მაშინ დაბრუნდებიან. ამ ხალხს ყველა ხელისუფლებაზე მორგების არნახული უნარი აქვს.

– ნაცების დაბრუნების შანსი თუ არის?

– უახლოეს მომავალში – არა, მაგრამ ისე შეიძლება დაბრუნდნენ. „ქართული ოცნება“ 2022 წლამდე გაქაჩავს ხელისუფლებაში ყოფნას. ამ პერიოდისთვის აშშ და რუსეთი მოძებნიან რომელიმე ოლიგარქს, რომელიც ისევე იყიდის ოპოზიციას, როგორც ეს ივანიშვილმა 2012 წელს გააკეთა.

მამუკა ბახტაძე: „წლის ბოლომდე უწყებების ავტოპარკი დაახლოებით 1.000 ავტომობილით შემცირდება“

– მთავრობის სტრუქტურის ცვლილებების ფარგლებში წლის ბოლომდე უწყებების ავტოპარკი დაახლოებით 1.000 ავტომობილით შემცირდება.

ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა გუშინ გამართულ სხდომაზე განაცხადა. მისი თქმით, ამ მიმართულებით მთავრობა ახალ ინიციატივებზე მუშაობას გააგრძელებს, რაც საბოლოო ჯამში უფრო მეტი თანხის დაზოგვის შესაძლებლობას იძლევა.

– წინა ბრიფინგის დროს განვაცხადე, რომ გარკვეულ სტრუქტურებში ის ხარჯი, რომელიც ჩვენ გვაქვს სახელმწიფო ავტოპარკის შენახვასთან დაკავშირებით არის მიუღებელი და ამ კუთხით არის პრინციპული ნაბიჯები გადასადგმელი. მთავრობის სტრუქტურის ცვლილებების ფარგლებში წლის ბოლომდე უწყებების ავტოპარკი შემცირდება დაახლოებით 1.000 ავტომობილით. აღნიშნული მანქანები რეალიზაციისთვის გადაეცემა ფინანსთა სამინისტროს და მათ მაგივრად მოხდება სპეციალური ავტომანქანების შეძენა პატრულისთვის, გარემოს დაცვითი ოპერაციებისთვის და მსგავსი სპეციალური საჭიროებებისთვის. რათა ჩვენმა ორგანოებმა შეძლონ უკეთესად ფუნქციონირება. ასევე მნიშვნელოვნად შეიზღუდება იმ პირთა წრე, ვისაც აქვს პერსონალური ავტომობილით სარგებლობის უფლება. დაახლოებით 500 ე.წ. მიკუთვნებული მანქანა გადაინაცვლებს სამორიგეო პარკში. ეს არის პირველი ნაბიჯი და ჩვენ აუცილებლად მოვაყოლებთ სხვა ინიციატივებს ამ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს ერთიანი პარკისა და მისი მენეჯმენტის შექმნის იდეას, რომელიც უფრო მეტ ოპტიმიზაციას გააკეთებს და საშუალებას მოგვცემს, ამ მიმართულებით კიდევ უფრო დავზოგოთ ხარჯები, – აცხადებს მამუკა ბახტაძე.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ალეკო ელისაშვილი: „მე მინდა, შევხვდე გიორგი მარგველაშვილს“

ივანიშვილს თუ სურს, ქვეყანა მართოს, მაშინ ახლა პრემიერ-მინისტრად თვითონ უნდა დამდგარიყო

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ალეკო ელისაშვილი პასუხობს.

– ბატონო ალეკო, საპრეზიდენტო არჩევნები სადაცაა კარზე მოგვადგება, თუმცა, როგორც ხელისუფლება, ისე ოპოზიციური სპექტრი, კანდიდატების დასახელებისგან თავს იკავებს. ვრცელდება ინფორმაცია, რომ თქვენც აპირებთ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას. ექსპერტები საუბრობენ იმის თაობაზე, რომ დამოუკიდებელ კანდიდატს ყველაზე მეტი შანსი ექნება. რას ფიქრობთ ამ ყველაფერზე?

– ვაპირებ თუ არა არჩევნებში მონაწილეობას, ამაზე ჯერ არ ჩამოვყალიბებულვარ, სხვა კანდიდატებსაც ველოდები. სიმართლე რომ გითხრათ, ამჟამად კონსულტაციების რეჟიმში ვარ. რამდენიმეს შევხვდი, საუბარი გვქონდა ამ თემებზე, სხვებთანაც ვაპირებ შეხვედრას. მინდა საბოლოოდ გავიგო, ვინ აპირებს კანდიდატურის დაყენებას. აი, ამ რეჟიმში ვარ ახლა და ამის მერე მეც გადავწყვეტ და იმასაც გადავწყვეტ, ვის შეიძლება დავუჭირო მხარი. მთავარია, რომ გამოჩნდეს ვინმე, ვინც იქნება მებრძოლი, ენერგიული. ერთი ზუსტად ვიცი, რომ მე პირადად არც ნაციონალური მოძრაობისა და არც „ქართული ოცნების“ კანდიდატებს მხარს არ დავუჭერ. არადა, უკვე მოვიდა დრო და, პრინციპში, უნდა გავიგოთ, ვინ რას აპირებს.

– კადრების სიმცირეს განიცდის „ქართული ოცნებაო“. ამიტომ წელავენ ასე საკუთარი კანდიდატის წარდგენას?

– უმეტესობა მექრთამეები არიან და ვინ უნდა დაასახელონ?! საგანელიძესა და მისნაირ ტიპებს თუ დაასახელებენ, რა შედეგსაც მიიღებენ, ზუსტად ვიცი. არავინ ჰყავთ ნორმალური. სულ გასვრილი ხალხი ჰყავთ, პრემიებითა და დანამატებით გამძღარი ჩინოვნიკები. ვინ უნდა დაასახელონ? ნორმალური უკვე მათ არავინ ეკარება. თუ დააკვირდებით, საზოგადოებაშიც როგორი აღქმაა, რომ ადრე „ქართულ ოცნებასთან“ ასოცირება 2011-1013 წლებში რაღაც საამაყო მოვლენა იყო, მოძალადე ნაციონალების წინააღმდეგ პოზიციას აფიქსირებდი და ღიად და ამაყად ამბობდი კაცი, რომ „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი იყავი.

– დღეს?

– დღეს უკვე სირცხვილია თქვა, „ქართულ ოცნებას“ ვუჭერ მხარსო. დღეს „ქართული ოცნების“ მხარდამჭერობა ნიშნავს, რომ ხარ მექრთამეების, არაფრის მაქნისების მხარდამჭერი.

– გამოდის კულუარული ინფორმაციები, რომ ვისაც კი შესთავაზეს პრეზიდენტობა, საუბარია ცნობილ და წარმოსადეგ ფიგურებზე, ყველასგან მწარე უარი მიიღეს.

– მეც მაგას ვამბობ ზუსტად. იმავე ადამიანებისთვის რომ შეეთავაზებინათ 2013 წელს, ყველა სიხარულით დასთანხმდებოდა. მაშინ ყველა სხვაგვარად ფიქრობდა. დიდი მოლოდინი იყო, არიქა, ბიძინა ივანიშვილი, არიქა, ქვეყანას წინ წაიყვანს და დღეს ყველა ნორმალური ადამიანი ზურგს შეაქცევს „ქართულ ოცნებას“, აბა, რას იზამს?! დღეს „ქართულ ოცნებას“ მიტმასნილები ჰყავს მარტო ბიუჯეტის ფულზე დახარბებულები. დიახ, გამოდის ეს ინფორმაციები, რომ ნორმალური ადამიანები უარს ეუბნებიან. ეს ინფორმაციები ჩემამდეც მოდის. თუმცა არ შეიძლება, ასე უსასრულოდ გაიწელოს ყველაფერი. უნდა გაირკვეს, რა, როგორ და რანაირად. ივლისის ბოლოს უკვე უნდა დასახელდეს კანდიდატები. ხომ არ გვავიწყდება, რომ ოქტომბერშია არჩევნები!

– თქვენ რატომ ხართ გაურკვევლობაში, რას ელოდებით? შესაძლოა, სხვას დაუჭიროთ მხარი?

– არ გამოვრიცხავ. დასამალი არა მაქვს და რამდენიმე ოპოზიციონერ ლიდერთან შეხვედრა მქონდა, მათ შორის ამ საკითხზეც ვისაუბრეთ. მე მინდა შევხვდე გიორგი მარგველაშვილს.

– სწორედ ეს მინდოდა მეკითხა. ამბობენ, რომ მარგველაშვილის გარშემო იქმნება ახალი კოალიცია და თქვენც ხომ არ მოიაზრებით მათ გუნდში?

– არა, მე არანაირ კოალიციაში არ მოვიაზრები. ამაზე ჩემთან ლაპარაკი არ ყოფილა.

– მაშინ რატომ უნდა შეხვდეთ მარგველაშვილს?

– მარგველაშვილს აქვს საკმაოდ მაღალი შანსი იმის, რომ ამ არჩევნებში გაიმარჯვოს, პირველივეში თუ არა, მეორე ტურში სერიოზული ბრძოლა გაუმართოს „ქართულ ოცნებას“. მე მისი პოზიცია მაინტერესებს და ამის მერე ჩამოვყალიბდები, ვინმე სხვას დავუჭირო მხარი თუ თავად ვიფიქრო ამასთან დაკავშირებით.

– ანუ გაინტერესებთ, გიორგი მარგველაშვილი აპირებს თუ არა მეორე ვადით მონაწილეობას საპრეზიდენტო არჩევნებში?

– დიახ და, მგონი, ეს ყველას აინტერესებს. ჩემი აზრით, მარგველაშვილმა რომ არჩევნებში არ მიიღოს მონაწილეობა, ეს ძალიან არასერიოზული ნაბიჯი იქნება მისი მხრიდან.

– ფიქრობთ, რომ მიიღებს?

– არ ვიცი, სწორედ ამის გარკვევა მინდა. ჩემი პოზიცია ასეთია, რომ მისი მხრიდან უარი იქნება ძალიან არასერიოზული.

– საჯაროდ დავით უსუფაშვილმაც შესთავაზა მარგველაშვილს გაერთიანება. რამდენად გამოვა ეს ერთობა?

– სიმართლე გითხრათ, არ ვიცი, რამის თქმა მიჭირს. თუმცა მე ასეთ გაერთიანებას ნაკლებად ვვარაუდობ.

– ანუ მარგველაშვილი თუ გადაწყვეტს მონაწილეობას, ის იქნება დამოუკიდებელი კანდიდატი, ყველანაირი ალიანსის გარეშე?

– ჯობია, რომ ასე იყოს. რა თქმა უნდა, „ქართული ოცნებიდან“ რომ გავიდა, რა ხეირი ან მისთვის, ან „ქართული ოცნებისთვის“? ამ ეტაპზე ის არც ერთ ძალასთან ასოცირებული არ არის. ბევრი რამე შეგიძლია თქვა მარგველაშვილზე, მაგრამ იმას, რომ რომელიმე ძალასთან არის ასოცირებული, ვერ იტყვი. ეს მოახერხა, რომ დამოუკიდებლად ეჭირა თავი მას შემდეგ, რაც აუჯანყდა ბიძინა ივანიშვილს.

– გვესმის ექსპერტების შეფასებები, რომ მას არ აქვს მაღალი რეიტინგი.

– არ ვიცი, მე კვლევა არ მინახავს და არ გამიზომია მისი რეიტინგი ნამდვილად. ეს საინტერესო იქნებოდა, რა მხარდაჭერა აქვს მარგველაშვილს. ჩემი სოციოლოგიური აღქმით, რომელიც ჩემს დაკვირვებას ეფუძნება, თუ ვინმეს აქვს შანსი, რომ „ქართულ ოცნებას“ კარგი ბრძოლა გაუმართოს, ეს არის მარგველაშვილი.

– ოპოზიციის მხრიდან სულ იყო ერთიან კანდიდატზე საუბარი, მაგრამ ეს ერთობა რატომღაც არ გამოდის. ნაციონალური მოძრაობის იმიჯი აფრთხობს ოპოზიციას თუ ამბიციები?

– გამუდმებით ლაპარაკი ოპოზიციის გაერთიანებასა და ერთიან ოპოზიციურ კანდიდატზე არის მიამიტობა. ერთხელ და სამუდამოდ უნდა დავინახოთ, რომ არსად არ არსებობს ასეთი რაღაც.

– არჩევნების მოახლოებასთან ერთად, ყოველთვის აქტიურდება ეს თემაც.

– ჰოდა, არასერიოზულია ეს ყველაფერი. მერე გამოვა გიორგი ვაშაძე და ბრძნული სახით დაიწყებს საუბარს, ჩავატაროთ პრაიმერიო. ეს კიდევ უფრო არასერიოზულია. ყველა ძალიან კარგად გრძნობს, ვის აქვს მაღალი შანსი და ვის – არა. ამას თუ რომელიმე პოლიტიკოსი ვერ გრძნობს, ეს უკვე მისი პრობლემაა. ამას არანაირი პრაიმერი არ სჭირდება. პირადად მე არც ნაციონალური მოძრაობისა და არც ხელისუფლების კანდიდატს მხარს არ დავუჭერ არავითარ შემთხვევაში. აი, მარგველაშვილს დავუჭერდი მხარს.

– თქვენს კანდიდატურასაც დათმობდით მისი კანდიდატურის სანაცვლოდ?

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ლია მუხაშავრია: „წულუკიანმა ხელისუფლების სათავეში მყოფ პირებთან კარგად ივაჭრა“

წარმოუდგენელია, შალვა თადუმაძემ პროკურატურისთვის საზოგადოების ნდობის დაბრუნება შეძლოს

ნათია ხურცილავა

ადამიანის უფლებათა დამცველი, იურისტი ლია მუხაშავრია, „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საპროკურორო საბჭოში განვითარებულ მოვლენებზე საუბრობს.

– ქალბატონო ლია, შალვა შავგულიძემ თავისი კანდიდატურა მოხსნა და განაცხადა, რომ მისი მონაწილეობა მთავარი პროკურორის შერჩევის პროცესში დემოკრატიულობის ანტურაჟი იქნებოდა. მოელოდით მოვლენების ასე განვითარებას?

– მე მოველოდი, რომ რაღაც ფასადი გათამაშდებოდა. ჩემთვის ლოგიკურია, რომ გარედან ხელისუფლება მთავარ პროკურორად არავის დანიშნავდა. მართლაც მიუკერძოებელ და დამოუკიდებელ პროფესიონალს ხელისუფლება უბრალოდ არ დანიშნავდა, რადგან ყველა ლოგიკით ასეთი პროკურორი შემდეგ მათ უნდა მიადგეს დასაჭერად. დაახლოებით ასეთი ვითარებაა: ჩემი ხელით როგორ გამოვიჭრი ყელს! ამიტომ სრულიად ლოგიკური იყო ის, რაც მოხდა. ერთი კი უნდა აღვნიშნო: შალვა შავგულიძე არის კეთილსინდისიერი, პატიოსანი, მიუკერძოებელი და მაღალი დონის პროფესიონალი. ის ამ შემთხვევაში მართლაც არის პოლიტიკურად ნეიტრალური სუბიექტი და, ცხადია, მისი დანიშვნა არავითარ შემთხვევაში არ მოხდებოდა.

რაც შეეხება იმ მოთხოვნას, რომელიც შალვა შავგულიძეს ჰქონდა საჯაროობასთან დაკავშირებით, ძალიან მნიშვნელოვანი იყო. საპროკურორო საბჭოში კანდიდატებთან გასაუბრების ღიაობა, საჯაროდ ტელევიზიით გადაცემა გამოავლენდა მიკერძოებულობას კანდიდატების შერჩევის პროცესში. ეს, რა თქმა უნდა, ხელისუფლებას არ აწყობდა და ამიტომაც არ მოხდა ტრანსლირება. მე ვეთანხმები და სწორია ის გადაწყვეტილება, რომელიც შალვა მიიღო, რადგან მან არ უნდა შექმნას ანტურაჟი, თითქოს მართლაც დემოკრატიული პროცესებით მოხდა მთავარი პროკურორის შერჩევა.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა, მეც მივიღე იუსტიციის სამინისტროსგან წერილი, რომ კანდიდატის შერჩევის პროცესში მონაწილეობა მიმეღო, მაგრამ იმდენად კომიკური და არარეალისტური იყო, რომ არც შემიწუხებია თავი ამ წერილზე საპასუხოდ.

– იურისტმა დავით ჯანდიერმა თქვა, რომ კანდიდატების შერჩევის პროცესიც იყო ლეგიტიმურობის მიღმა. როგორც ცნობილია, წულუკიანი თადუმაძის შვილის ნათლიაა. როგორ ფიქრობთ, არის საკმარისი იუსტიციის მინისტრის ნეიტრალურობისთვის, რომ მან კენჭისყრაში და შემდეგ უკვე ხმის დათვლის პროცედურაში მონაწილეობა არ მიიღო?

– ჩვენთან ინტერესთა კონფლიქტი, როგორც ასეთი, არ ესმით, მეტიც, გაგონებაც კი არ სურთ ადამიანებს, მათ შორის არც იმ ადამიანებს, რომლებიც ევროპულ სტრუქტურებში მუშაობდნენ და რომლებმაც შესანიშნავად იციან, რას ნიშნავს ინტერესთა კონფლიქტი. აქ საუბარი არ არის კანონის ზედმიწევნით, პირდაპირი განმარტებაზე, როდესაც ნათესავი არ უნდა იყოს. გასაგებია, რომ თეა წულუკიანის ნათესავი არ არის შალვა თადუმაძე, მაგრამ ის დამოკიდებულება, რომელიც წულუკიანს აქვს ნათლულის მამასთან ანუ თადუმაძესთან, ხომ განასხვავებს იმ ურთიერთობას, რომელიც მას შეიძლება ქალბატონი გოგნიაშვილის მიმართ ჰქონდეს! კენჭისყრაში მონაწილეობის არმიღება არ ნიშნავს ინტერესთა კონფლიქტის არარსებობას. მას კანდიდატების შერჩევის პროცესშიც არ მიუღია ფორმალურად მონაწილეობა, შვებულებაში იყო, მაგრამ ეს ფორმალობაა. მე ვფიქრობ, წულუკიანმა ხელისუფლების სათავეში მყოფ პირებთან კარგად ივაჭრა.

– რას გულისხმობთ?

– არ გამოვრიცხავ, რომ სწორედ ამ პირობით შეინარჩუნა მან მინისტრის სავარძელი, რომ ეს იყო მისი ერთ-ერთი კოზირი, რომელიც გამოიყენა და ამით თავისი სავარძლის გარანტირებაც შეძლო.

– მიუხედავად იმისა, რომ გუნდში წულუკიანის მიმართ არ იყო ერთგვაროვანი პოზიცია და ვიღაცები მის წინააღმდეგ იყვნენ, ის კვლავ რჩება მინისტრის პოსტზე.

– ამ შემთხვევაში საზოგადოების პოზიცია ღია და აშკარად გამოხატული იყო წულუკიანის მიმართ, მაგრამ ჩვენ ვიხილეთ საზოგადოების ნების საწინააღმდეგო ნაბიჯი ხელისუფლების

უმაღლესი პირების მხრიდან. რატომ? როგორც გითხარით, მთავარი პროკურორის შერჩევის ამ მეტად მნიშვნელოვან პროცესში წულუკიანმა თავისი როლი მეტად კარგად წარმოაჩინა და გამოიყენა, კარგად ივაჭრა და კარგი გარიგებაც დადო თავისთვის. მას იუსტიციის მინისტრის პორტფელი გარანტირებული აქვს.

მე არ გამოვრიცხავ, რომ კანდიდატის შერჩევის პირველ ეტაპზე, რომელიც „ქართული ოცნების“ გუნდის შიგნით მოხდა, მას სერიოზული მონაწილეობა მიიღო, მაგრამ, ამავდროულად, მოახერხა, რომ ფასადი შეექმნა, თითქოს კანდიდატებს არასამთავრობო სექტორი ასახელებდა. მერე მივიღეთ ის, რაც მივიღეთ და დღეს ეს პროცესი ჩიხშია შესული. ამიტომაც არის ძალიან მნიშვნელოვანი შალვა შავგულიძის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომ დაბრმავებული არ დავტოვოთ ევროკავშირი, აშშ.

– შალვა თადუმაძეს თუ იცნობთ, როგორი მთავარი პროკურორი იქნება?

– მე, პირადად, შალვა თადუმაძის, როგორც პიროვნების, ადამიანისა და იურისტის მიმართ პრეტენზიები ნამდვილად არ მაქვს, მას დიდი ხანია ვიცნობ, ჯერ კიდევ იმ დროიდან, როდესაც ის არასამთავრობო სექტორში იყო. უბრალოდ, პრობლემას ქმნის ის გარემოება, რომ ის დღეს არის პოლიტიკური მმართველი გუნდის ძალიან ახლო წევრი, მმართველი პოლიტიკური გუნდის მიერ არის დასაქმებული ძალიან მნიშვნელოვან პოლიტიკურ თანამდებობაზე. ამიტომ მისი მიუკერძოებლობა და პროფესიული დამოუკიდებლობა, ცხადია, ამ გარემოების გამო არ არსებობს. შესაბამისად, ეს არის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე მახასიათებელი.

– პარტიის წევრი არ ვყოფილვარ არასდროსო.

– ამას მნიშვნელობა არ აქვს. საუბარია იმაზე, რომ ის თანამდებობრივად ძალიან მჭიდრო კავშირშია „ქართულ ოცნებასთან“, მმართველ პარტიასთან, ბოლოს და ბოლოს, მთავრობის საპარლამენტო მდივანი იყო. ის „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიაში პირდაპირ იყო ჩართული. ამდენად, არანაირი კითხვა არ ჩანს, რომ ის პოლიტიკურად ნეიტრალური არ არის. ეს არის მთავარი ხელისშემშლელი. ის მმართველ პოლიტიკურ გუნდთან საქმიანობით რომ არ ყოფილიყო დაკავშირებული, რასაკვირველია, შეიძლებოდა, მისგან ძალიან კარგი მთავარი პროკურორი მიგვეღო. მიუხედავად ჩემი პერსონალური და პირადი სიმპათიებისა, მას ამ თანამდებობისთვის შეუფერებელს მისი უახლესი წარსული საქმიანობა ხდის, რომელიც მას მმართველ ძალასთან მჭიდროდ აკავშირებს. ეს მაფიქრებინებს, რომ ის პოლიტიკურ დაკვეთებს შეასრულებს. ეს არის მთავარი პრობლემა, რომ მთავარი პროკურორი ასეთი არ იყოს. მეორე მხრივ, ობიექტური უნდა ვიყო და ვთქვა, რომ ის მართლაც იყო კარგი იურისტი და არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი.

– შალვა თადუმაძე პროკურატურისთვის საზოგადოების ნდობის დაბრუნებაზე საუბრობდა. რამდენად შეძლებს?

– „ქართული ოცნების“ უმთავრესი დანაპირები სამართლიანობის აღდგენა იყო, რაც მათ არ შეასრულეს. წარმოუდგენელია, ამ ფონზე შალვა თადუმაძემ შეძლოს, პროკურატურას საზოგადოების ნდობა დაუბრუნოს, რაც ძალიან სამწუხაროა, რადგან ეს ჩვენს სახელმწიფოს უკან სწევს, არადა, წინ გიგანტური ნაბიჯებით უნდა ვიაროთ.

„საქართველომ, შესაძლოა, მაპის გარეშე ნატოს განსაკუთრებული პარტნიორის სტატუსი მიიღოს“

მამუკა გვაძაბია: „ნატოს სამიტის წინ ამერიკული ოჯახის დახოცვა შემთხვევითი არ მგონია“

გულიკო ბალაძე

ნატოს სამიტის წინ „რია ნოვოსტიმ“ გაავრცელა ინფორმაცია, რომ შეიძლება საქართველო ნატოში გამარტივებული წესით შევიდეს. ამ საკითხთან დაკავშირებით „ახალ თაობას“ დამოუკიდებელი ექსპერტი მამუკა გვაძაბია ესაუბრა.

– ბატონო მამუკა, რამდენად რეალური შეიძლება იყოს ეს ინფორმაცია?

– ამ მოცემულობაში, ამ სიტუაციაში საქართველოს ნატოში გაწევრიანებას შევადარებდი 1951 წელს თურქეთის ალიანსში მიღებასა და 80-იანი წლების დასაწყისში პოსტდიქტატორული ესპანეთის ნატოში გაწევრიანებას.

დემოკრატიის თვალსაზრისით არც თურქეთში იყო იდეალურად საქმე და არც ესპანეთში, ანუ ნატოს სტანდარტებს არ შეესაბამებოდა.

ნატო მხოლოდ სამხედრო ბლოკი არ არის, ნატო არის სამხედრო-პოლიტიკური ბლოკი, რომელიც გარკვეულ ღირებულებებზეა დაფუძნებული. ნატოს შემქმნელმა მამებმა იმთავითვე ასე განსაზღვრეს და მეც ამას მივესალმები.

– რაც მთავარია, თურქეთისა და ესპანეთის შემთხვევაში მაპი არ გამოუყენებიათ.

– ნატოში გაწევრიანების სამოქმედო პროგრამა თავის დროზე არც მწვადისა და არც შამფურის დაწვის მსგავსი პოლიტიკა იყო – არც რუსეთის გაღიზიანება უნდოდათ და არც იმ ქვეყნების განაწყენება, რომლებიც ნატოსკენ ისწრაფვოდნენ. ამიტომ გამოიგონეს მაპი. მაპი თვითმიზანი არ არის. ისე უნდა მოხდეს საქართველოს ნატოში ინტეგრირება, რომ საქართველომ ნატოს სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკს დამატებითი პრობლემები არ შეუქმნას.

– რა დამატებითი პრობლემების შექმნას გულისხმობთ?

– წინა ხელისუფლების დროსაც ვამბობდი და ახლაც ვამბობ – წინა

ხელისუფლების დროსაც იყო სიტუაცია, როდესაც საქართველოსა და ნატოს თანამშრომლობის რაღაც პრობლემებზე ინფორმაცია ჟონავდა რუსეთის სპეცსამსახურებისკენ.

დღესაც ვხედავ ამის ნიშნებს. თავის დროზე რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობის თვალსაზრისით აყვანილი პიროვნება დღეს გარკვეულ ტენდერებში მონაწილეობს. ნატოს არ უნდა, საქართველოს ყოფნა ალიანსში მათთვის დამატებითი საფრთხეების შემცველი იყოს.

დასავლეთის სპეცსამსახურებმა საქართველოში გარკვეული სამუშაოები ჩაატარეს და ატარებენ ახლაც, როდესაც საქართველოს ნატოში გაწევრიანებისთვის ამზადებენ.

– როდესაც ამბობთ, რომ საქართველოდან რუსეთისკენ ინფორმაცია ჟონავდა რუსეთის სპეცსამსახურებში, ახლაც ხედავთ ინფორმაციის გაჟონვის ფაქტებს?

– მე ამას ვგრძნობ, მაგრამ საქართველოდან რუსეთისკენ ინფორმაციის გაჟონვის ფაქტს ჩვენი პარტნიორები ხედავენ.

– როგორც ვიცი, ის ტენდერი ჩაიშალა, რადგან იმ პირს, რომელიც ტენდერში მონაწილეობდა, ნასამართლობა არ ჰქონდა მოხსნილი.

– იმ პირს სხვა ტენდერებშიც აქვს მონაწილეობა მიღებული და გამარჯვებულია. რომ არ გამომჟღავნებულიყო, ინფორმაცია ხომ გაჟონავდა. ვიღაცისკენ ხელს კი არ ვიშვერ და ნიშნის მოგებით კი არ ვსაუბრობ, შეიძლება ეს ყოფილიყო ჩვენი მოწინააღმდეგე სპეცსამსახურების მუშაობის სიძლიერის ან შს სამინისტროსა და თავდაცვის სამინისტროში მოკალათებული აგენტურის მუშაობის შედეგი. როდესაც დასავლეთი ასეთ საშიშროებას გრძნობს, სანამ ამას არ აღმოფხვრის, ჩვენი ნატოში მიღება ფერხდება.

– 2008 წლის ომმაც შეგვიშალა ხელი ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანებაში.

– მე ასე ვიტყოდი – აგვისტოს ომი არ იქნებოდა, 2008 წლის ბუქარესტის სამიტის დროს საქართველოსთვის მაპი რომ მიეცათ და გერმანიისა და საფრანგეთის უარყოფითი როლი რომ არ ყოფილიყო და რუსეთისთვის კოჭი არ გაეგორებინათ.

– დიახ, 2008 წელს საქართველოს ნატოში გაწევრიანების მთავარი მოწინააღმდეგე გერმანია, ანგელა მერკელი, საფრანგეთი და მისი პრეზიდენტი იყვნენ. შეიძლება ახლა დაიძლიოს ის წინააღმდეგობა, რომელიც ნატოში საქართველოს მიღებასთან დაკავშირებით ამ ორი ქვეყნისგან მომდინარეობს?

– შეიძლება პოლიტკორექტულობა დავარღვიო?

– რა გინდათ, რომ თქვათ?

– საერთოდ, გერმანიასა და მის პოლიტიკურ ისტებლიშმენტს, მეორე მსოფლიო ომის შედეგებიდან გამომდინარე, არასრულფასოვნების სინდრომი აქვთ. ერთხელ თქვენთან ინტერვიუში ვთქვი, რომ გაშრიოდერებული და გაბერლუსკონებული ევროპის ნაწილი (ევროპა ხომ არ არის მხოლოდ შრიოდერისა და ბერლუსკონის) საქართველოს ყოველთვის შეუშლის ხელს ნატოში გაწევრიანებაში.

– რატომ?

– ერთიც და მეორეც რუსეთის „გაზპრომთან“ არის მიბმული. ამ მხრივ საფრანგეთში სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა, გერმანიაში კიდევ არის საფრთხეები. თუ გავითვალისწინებთ ამერიკაში არსებულ სიტუაციას, ევროპის წინდაუხედავ საემიგრაციო პოლიტიკას გლობალურად თუ შევაფასებთ, შეიძლება გერმანია არ შეეწინააღმდეგოს საქართველოს ნატოში ინტეგრაციას.

ნატოს სამიტი შეიძლება წინ გადადგმული ნაბიჯი გახდეს საქართველოს ნატოში ინტეგრირების გზაზე. სხვათა შორის, საქართველოში დატრიალებული ტრაგედია, რომელიც შეეხება ამერიკულ ოჯახს, შემთხვევითი არ მგონია. თუმცა, ამას არც ვამტკიცებ, მაგრამ არც უარვყოფ.

– სმიტების ოჯახის დახოცვას რას უკავშირებთ?

– ნატოს სამიტის წინ ამერიკული ოჯახის დახოცვა შემთხვევითი არ მგონია. ამას არ ვამტკიცებ, მაგრამ უარყოფა და უკუგდება არ შეიძლება.

– რუსეთს უკავშირებთ?

– ზოგიერთები იტყვიან, შეთქმულების თეორიებს მხარს არ ვუჭერთო. მე შეთქმულების თეორიების მომხრე ვარ. მე ვარ შეთქმული ქართველ ხალხთან, რომელიც არის მომხრე, საქართველოში რუსეთის გავლენა შესუსტდეს. ამ შეთქმული ქართველი ხალხის მომხრე ვარ მეც.

– ანუ რა შეიძლება მომხდარიყო?

– შეიძლება ამერიკული ოჯახის ამოხოცვა ნატოს სამიტის წინ შემთხვევითი არ იყო.

– ამ შემთხვევაში „რია ნოვოსტის“ მიერ გავრცელებული ინფორმაცია რას შეიძლება ემსახურებოდეს?

– „რია ნოვოსტი“ პირდაპირ კრემლის მორჩილებაში მყოფი საინფორმაციო სააგენტოა. ამიტომ, არ შეიძლება, ინფორმაციის წყაროდ მივიღოთ, მაგრამ სხვებმაც გაავრცელეს, რომ შეიძლება საქართველო ნატოში მაპის გარეშე მიიღონ. ჩვენ ადრე ვისაუბრეთ, რომ ნატოში გაწევრიანებას ოკუპირებულმა ტერიტორიებმა არ უნდა შეუშალოს ხელი. ჩემთვის არ იქნება გასაკვირი, რაღაც მომენტებიდან გამომდინარე, ნატო-საქართველოს ურთიერთობა უფრო მაღალ ეტაპზე რომ გადავიდეს.

– ამერიკელების მხრიდან ნიადაგის მოსინჯვა ხომ არ იყო, როდესაც ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელმა გაახმოვანა, რომ საქართველოს ალიანსში გაწევრიანება შესაძლებელია, თუ ნატოს წესდების მე-5 მუხლი ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ არ ამოქმედდება?

– მეხუთე მუხლის დროებით შეჩერებაზე იყო ლაპარაკი. მაგრამ, დღეს თუ გაწევრიანებაზე არ იქნება საუბარი, საქართველომ განსაკუთრებული პარტნიორის სტატუსი შეიძლება მიიღოს ყოველგვარი მაპის გარეშე.

ფოთისა და ხობის ეპისკოპოსი დეკანოზ გიორგი მამალაძეს ციხეში მოინახულებს

შორენა მარსაგიშვილი

ქვეყანაში ბოლო დროს განვითარებული მოვლენების გამო ციანიდის საქმემ დროებით უკანა პლანზე გადაიწია. საუკუნის სკანდალად წოდებული საქმე, სავარაუდოდ, ისევ აქტუალური გახდება. დეკანოზ მამა გიორგი მამალაძის ადვოკატმა მიხეილ რამიშვილმა განაცხადა, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფს მეუფე გრიგოლთან შეხვედრა სურს.

ფოთისა და ხობის ეპისკოპოსი ადვოკატის განცხადებას გუშინ, 11 ივლისს, გამოეხმაურა. მეუფე გრიგოლი მზადაა, პატიმრობაში მყოფი დეკანოზი მოინახულოს.

ამასთან დაკავშირებით ფოთისა და ხობის ეპარქიამ განცხადება გაავრცელა. აი, რა წერია ამ განცხადებაში:

– მიმდინარე წლის 10 ივნისს პატიმრობაში მყოფი დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატმა, ბატონმა მიხეილ რამიშვილმა, გაავრცელა მისი დაცვის ქვეშ მყოფი პატიმრის განცხადება, რომლის თანახმადაც, დეკანოზი გიორგი მამალაძე ითხოვს მღვდელმთავრებთან შეხვედრას და მზადყოფნას გამოთქვამს, რომ პასუხი გასცეს ნებისმიერ კითხვას, რაც კი მის მიმართ არსებობს და დღემდე პასუხგაუცემელია.

ადვოკატმა მიხეილ რამიშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დეკანოზ გიორგი მამალაძეს განსაკუთრებით სურს მეუფე გრიგოლთან შეხვედრა.



აღნიშნულთან დაკავშირებით ვაცხადებთ, რომ ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი, მაღალყოვლადუსამღვდელოესი გრიგოლი ითვალისწინებს პატიმრობაში მყოფი დეკანოზ გიორგი მამალაძის თხოვნას და მზაობას გამოთქვამს, უახლოეს დღეებში სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოინახულოს მსჯავრდებული დეკანოზი გიორგი მამალაძე და მოისმინოს მისგან ის დამატებითი ინფორმაცია, რაც (პატიმრის სიტყვის მიხედვით) დღემდე პასუხგაუცემელია.

დეკანოზთან შეხვედრის შემდეგ მეუფე გრიგოლი მედიასთან საუბარს აპირებს.

– იმის გამო, რომ ამ საქმისადმი საზოგადოებაში არსებობს მაღალი ინტერესი, პატიმართან შეხვედრის შემდეგ მეუფე გრიგოლი პასუხს გასცემს საზოგადოებაში დაგროვილ კითხვებს როგორც დეკანოზ გიორგი მამალაძის საქმესთან (თუ ეს თვით მამა გიორგის სურვილი იქნება), ასევე, საზოგადოდ, ეკლესიის ირგვლივ განვითარებულ ბოლოდროინდელ მოვლენებთან დაკავშირებით, – ნათქვამია ეპარქიის განცხადებაში.

აღსანიშნავია რომ მეუფე გრიგოლი ერთხელ კიდევ უკვე შეხვდა მამა გიორგის. ეს შეხვედრა 7 მარტს შედგა. მატროსოვის ციხიდან ეპისკოპოსი გაოგნებული გამოვიდა.

– ბურუსი რაღაც ნაწილში გაიფანტა, რაღაც ნაწილში კიდევ უფრო მეტი გაჩნდა, მაგრამ იმაზე მეტი, რასაც გეუბნებით, არ შემიძლია ვთქვა, ეს არის საუბარი სასულიერო პირებს შორის. მე ეჭვი გამოვთქვი იმის შესახებ, რომ თუ დამნაშავეა, წარმოუდგენელია, რომ იგი მხოლოდ ერთადერთი ყოფილიყო ამ საქმეში, თუ უდანაშაულოა, მაშინ რატომ იმყოფება საპატიმროში. ეს კითხვები დღესაც ჩნდება, ჩემი კითხვები არ გაფანტულა, შეიძლება, კიდევ უფრო მეტად გაძლიერდა. თქვენ იმის გაგება გინდათ, რაც ჯობდა, მეც არ გამეგო. არის თემა, რომელიც დაცულია, მით უმეტეს, რომ მისი სურვილი არ ყოფილა, რომ ჩემი მხრიდან რამე განცხადება გაკეთებულიყო. მე შთაბეჭდილება მრჩება, რომ ეს ადამიანი არის მსხვერპლი, მე ვერ ვიტყვი, რომ იგი არის უდანაშაულო ან ვერ ვიტყვი, რომ დამნაშავეა, მაგრამ ნებისმიერ შემთხვევაში ეს ადამიანი არის გარემოებათა მსხვერპლი, – განაცხადა მაშინ მეუფე გრიგოლმა.

ალეკო ელისაშვილი: „მე მინდა, შევხვდე გიორგი მარგველაშვილს“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

– ჩემს კანდიდატურას რაც შეეხება, ეს საკითხი გადაწყვეტილი მაქვს, თუმცა ამაზე არაფერს ვიტყვი, ჯერ მინდა, მარგველაშვილს დაველაპარაკო. დიდი ალბათობით, მე მას დავუჭერ მხარს.

– მარგველაშვილის მაღალ შანსებზე საუბრობთ, თუმცა, არის მოლოდინი, რომ ამ არჩევნებში „ოცნების“ კანდიდატი გაიმარჯვებს. ვინ უნდა დაუყენოს საპირწონედ „ქართულმა ოცნებამ“ გიორგი მარგველაშვილს, რომ ეს არჩევნები მოიგოს?

– აქამდე რა კანდიდატებიც ისმოდა, იმათ ძალიან გაუჭირდებოდათ კონკურენცია მარგველაშვილთან. თეა წულუკიანი და კიდევ მსგავსი გვარები მესმოდა.

– დღეს სოზარ სუბარზე საუბრობენ, თანაც ის თანამდებობის გარეშე რჩება.

– ოოო, სოზარ სუბარი ძალიან საინტერესო კანდიდატი იქნება. წარმოვიდგინე მისი ვიდეორგოლები, არაფხიზელ მდგომარეობაში რომ კომენტარებს იძლევა.

– თავად ივანიშვილს გამორიცხავთ?

– ივანიშვილს გამოვრიცხავ. აღმოჩნდა, რომ ივანიშვილი არის ძალიან უპასუხისმგებლო ადამიანი! ივანიშვილს თუ უნდა, ქვეყანა მართოს, მაშინ ახლა პრემიერ-მინისტრად თვითონ უნდა დამდგარიყო. ეს იყო მისთვის ბოლო შანსი, რომ ამ ქვეყნის წინაშე პასუხისმგებლობა და სიყვარული დაედასტურებინა. რადგან მორიგი თავისი აჩრდილი დააყენა, ამით უკვე ყველაფერი გასაგებია.

– ანუ ივანიშვილმა გადაწყვიტა, კვლავ არაფორმალურად მართოს ქვეყანა?

– დიახ და აი ნახავთ ძალიან მალე, სწორედ ასეთი მმართველობის გამო ყველაფერი თავზე დაემხობა „ქართულ ოცნებასაც“ და მასაც. ვერც კი გრძნობენ, რომ ამ ქვეყანაში ძალიან სერიოზულად არის რაღაცები შესაცვლელი. არაფრის შეცვლას ესენი არ აპირებენ. ასე თუ გააგრძელეს, შემოდგომიდან ძალიან სერიოზული პროცესები წავა. ამაში ღრმად ვარ დარწმუნებული. ყველაფერი თავზე დაემხობათ! ამას მეც ვგრძნობ და დანარჩენებიც.

ანზორ აბრალავა: „ვადამდელი არჩევნებისთვის საფუძველი არ არსებობს“

„პოლიტიკაში ჯერ ალტერნატივა არ გამოჩენილა“

მარიამ მჭედლიშვილი

მიმდინარე მოვლენებზე „ახალი თაობა“ ყოფილ დეპუტატ ანზორ აბრალავას ესაუბრა.

– საპრეზიდენტო არჩევნებისთვის შეინიშნება გარკვეული ძალების ერთმანეთთან დაკავშირების მცდელობა: გაერთიანების მოწოდებით მოქმედ პრეზიდენტს მიმართა ყოფილმა პარლამენტის თავმჯდომარემ, „შენების მოძრაობის“ დამფუძნებელმა დავით უსუფაშვილმა; ეროვნული მოძრაობის აღორძინებაზე საუბრობენ სხვა ლიდერები. მაგალითად, კახა კუკავა.

– ეს ჩვეულებრივი პოლიტიკური პროცესებია და ისინი დემოკრატიულ ფუნქციას სძენენ მოვლენებს. ყველა პოლიტიკოსს აქვს აქტიურობისა და ამბიციების ქონის უფლება. რომ გითხრათ, მათ წარმატების შანსი აქვთ-მეთქი, არ დამიჯერებთ. პოლიტიკაში ჯერ ალტერნატივა არ გამოჩენილა. იმისათვის, რომ ის იყოს, აუცილებელია დიდი ფინანსები. არ ვიცი, დგანან თუ არა ფინანსური ჯგუფები ან მსხვილი ბიზნესმენები უსუფაშვილის, მარგველაშვილის ან სხვების უკან. ბიძინა ივანიშვილს ჰქონდა და აქვს კაპიტალი და მას არ გასჭირვებია პოლიტიკური გაერთიანების ჩამოყალიბება, არჩევნების მოგება. ან დიდი კაპიტალი უნდა გამოჩნდეს, ან მძლავრი პატრიოტული მუხტი, რომ სხვა ძალამ დღევანდელ ვითარებაში შედეგს მიაღწიოს.

– ე.ი. იდეასაც აქვს მნიშვნელობა?

– მთავარია, ვინ წარმოთქვამს ამ იდეას. არსებითია არა ის, თუ რას ლაპარაკობენ, არამედ ის, თუ ვინ ლაპარაკობს, ვინ ახმიანებს კარგ იდეებს.

– ასეთი ავტორიტეტები არ ჩანან?

– რასაკვირველია. ალტერნატიული ძალებიც არ არსებობს. მარგველაშვილსა და უსუფაშვილს უფლება აქვთ, იყვნენ აქტიურები, მაგრამ ფართო საზოგადოებისთვის ისინი ავტორიტეტებს არ წარმოადგენენ. ორივეს ერთად ჰყავს მხარდამჭერების მცირე ჯგუფი.

– ახალი ეროვნული მოძრაობის წამოწყება თუ არის შესაძლებელი?

– წამოწყება შესაძლებელია, მაგრამ ის ცოდნასა და გამოცდილებას უნდა დაეყრდნოს. არ შეიძლება ამის იგნორირება. პატრიოტიზმსა და ეროვნულ თემატიკას ქვეყანაში ბრძოლა აქვს გამოცხადებული. ეს განსაკუთრებით იგრძნობა ტელევიზიებში. ამ მოძრაობასაც რესურსი სჭირდება. ბიძინა ივანიშვილი თავისი რესურსებით ინარჩუნებს „ქართულ ოცნებას“.

– „ქართულ ოცნებაში“ დიდი ხანია, ყველაფერი რიგზე ვერ არის. ამ დღეებში დეპუტატმა ენძელა მაჭავარიანმა სახალხოდ გამოაცხადა, რომ პარლამენტში დეპუტატები იყოფიან ავტობუსებისა და ლიმუზინების დეპუტატებად, კომიტეტებში კი ხელმძღვანელობას პრივილეგიები აქვს. ეს განცხადებაც ხომ არ ადასტურებს, რომ უმრავლესობა თანახმაა პარლამენტის ვადამდელი არჩევნების ჩატარებაზე?

– არა მგონია. თუ ეს საარჩევნო საკითხს უკავშირდება, ეს საპრეზიდენტო არჩევნებია. დარწმუნებული ვარ, რომ ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებისთვის საფუძველი არ არსებობს. ხელისუფლებასაც არ აქვს ეს დაგეგმილი. თუ რომელიმე პოლიტიკურ გაერთიანებას ალტერნატივაზე აქვს პრეტენზია, მან, პირველ რიგში, ტერიტორიული მთლიანობის საკითხზე უნდა იმუშაოს. ჩვენთან ამან უკანა პლანზე გადაიწია. ამას გამოკითხვებიც ადასტურებს.

– ამ სოციოლოგიურ გამოკითხვებში შეკითხვები ხშირად ისეთი ფორმითაა დასმული, რომ ადამიანი ყურადღებას ამახვილებს დასაქმებაზე, შემოსავლებზე და ა.შ. სინამდვილეში, ტერიტორიული მთლიანობა თითქმის ყველას აწუხებს.

– წესით, ასე უნდა იყოს. ხალხი ამაზე საუბრობს. ტრაგედიაა ის, რომ ქვეყნიდან ლუკმაპურის გამო უამრავი ადამიანი მიდის. ბევრს ცხოვრების მინიმალური პირობები რომ ჰქონდეს, საქართველოს არ დატოვებდა.

– საპრეზიდენტო არჩევნები ახლენეთ და ბოლო თვეებში არც იგრძნობა, რომ არჩევნები ახლოვდება.

– ზოგიერთ ძალას თავისებურად ესმის ამ არჩევნებისათვის მზადება. სააკაშვილის გარშემო გაერთიანებულმა პოლიტიკურმა ძალებმა ცადეს სიტუაციის თავიანთ სასარგებლოდ გამოყენება. მორიგი რევანშის მცდელობა მათ წყალში ჩაეყარათ. ხალხმა ნაცმოძრაობას ზურგი კიდევ ერთხელ შეაქცია. მათ საორგანიზაციო საკითხებიც ვერ მოაგვარეს. ვინც უნდა დაასახელონ მათ საპრეზიდენტო კანდიდატად, მას საზოგადოება არ მიიღებს.

– კანდიდატის დასახელება ვერც „ოცნებამ“ მოახერხა.

– დღევანდელ სიტუაციაში გაიმარჯვებს ის, ვისაც დაასახელებს ბიძინა ივანიშვილი. ისევ ასეთი რეალობა გვაქვს, მოსწონს ეს ვინმეს თუ არა.

– ვითარება შეიძლება შეიცვალოს, თუ ალტერნატიული ძალის კანდიდატს რესურსები გამოუჩნდა?

– ბიძინა ივანიშვილმაც ხომ ასე დაამარცხა სააკაშვილი! ჩვენთან პოლიტიკის კაპიტალიზაცია უკვე მომხდარია. პოლიტიკაში ბატონობს ფული. ბევრ პოლიტიკურ ლიდერს ხალხში ნდობა აქვს დაკარგული. ისინი მთელი ცხოვრება საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნავდნენ და ინტრიგებს ხლართავდნენ, ქვეყნის ინტერესებს ღალატობდნენ. პოლიტიკური კლასი დისკრედიტებულია. ჯერჯერობით არც ავტორიტეტები გამოჩენილან და არც რესურსები გამოკვეთილა.

ის, ვინც ვადამდელ არჩევნებს მოითხოვს, ამ არჩევნებში დამარცხდება. ვფიქრობ, მომავალში იქნება უბრალოდ ემოციები, რომლებსაც რუსთავი 2 გაამძაფრებს. ძვრებისთვის ნიადაგი ამ ეტაპზე არ არსებობს.

„ოსები თბილისშიც ჩამოდიან, მაგრამ ამის აფიშირებას ჩვენ არ ვახდენთ“

ზურაბ ბერდიანიშვილი: „რუსული მავთულხლართებით ყველაზე მეტად ოსები ზარალდებიან“

გულიკო ბალაძე

არასამთავრობო ორგანიზაცია კოალიცია „დევნილთა უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი ზურაბ ბერდიანიშვილი „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ ერგნეთში ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის სამუშაო ჯგუფის შეხვედრები კომუნიკაციის არხია, სადაც გარკვეულ საკითხებზე მსჯელობენ.

– ბატონო ზურაბ, როგორ აფასებთ ამ ჯგუფის მუშაობას?

– ამგვარი შეხვედრები ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან კომუნიკაციის არხია, გარკვეულ საკითხებზე მსჯელობენ. ამ მექანიზმის საშუალებით შესაძლებელი გახდა დაკავებული ადამიანების გათავისუფლება. ასეთი საკითხების გადასაწყვეტად ასეთი შეხვედრები გამოიყენება. სხვა მხრივ დიდი პროგრესი არ არის, თუმცა, ინფორმაციის გაცვლა ხდება.

– ტატუნა შვილის თემა აქტუალურია ყველა შეხვედრის დროს. ჯერ კიდევ ტატუნა შვილის შინაგანი ორგანოების გადმოცემის პრობლემა დგას. თქვენ იცნობთ ოსების ხასიათს, ფსიქოლოგიას, რას ნიშნავს იმგვარი ქმედება, როდესაც მოკლულ ადამიანს შინაგანი ორგანოები ამოაცალეს და პატრონს არ უბრუნებენ?

– ამ ფაქტს ნუ დაუკავშირებთ იქაურ მოსახლეობასა და საზოგადოებას. ცხინვალის რეგიონში არის მოსახლეობა და საზოგადოება, რომელმაც ძალიან ნეგატიურად აღიქვა ტატუნა შვილის მკვლელობის ფაქტი და სოციალურ ქსელებში დააფიქსირა თავისი დამოკიდებულება, ჩემთან კონტაქტშიც კი.

ცხინვალის რეგიონში პროცესებს მთლიანად საოკუპაციო რეჟიმი წარმართავს, რომელიც რუსეთის მიერ იმართება. ტატუნა შვილთან დაკავშირებული საკითხებიც რუსეთის მიერ არის მართული.

– მკვლელობის შემდეგ შინაგანი ორგანოების ამოცლა რაღას ნიშნავს?

– ტატუნა შვილისთვის შინაგანი ორგანოების ამოცლა იყო დანაშაულის დაფარვის მცდელობა, სამართლებრივად გამართული სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნები რომ არ გვქონოდა. სამწუხაროდ, ძალიან არასასიამოვნო ფაქტია. ძირითადად იმიტომ გააკეთეს, რომ არ დადასტურებულიყო, რომ წამებას ჰქონდა ადგილი. ეს საერთო დამოკიდებულებაა და ამ დამოკიდებულებას ჩვენ ვერ შევცვლით.

– თქვენს არასამთავრობო ორგანიზაციას უკანონო ბორდერიზაციისთვის ხელის შეშლა როგორ წარმოუდგენია?

– სამწუხაროდ, ჩვენ ან ძალისმიერი მეთოდით უნდა ჩავერიოთ, ან შევხედოთ, რუსეთი გორგოლაჭებით როგორ აბამს მავთულხლართებს. რუსეთი საქართველოს ტერიტორიაზე პროვოკაციებს აგრძელებს. რაც გაკეთა, რუსეთს იმის გაკეთება ერთ წელიწადში შეეძლო. უნდა, რომ გამუდმებით ზემოქმედება ჰქონდეს საქართველოზე და სხვადასხვა უბანში წამოსწევენ ხოლმე ამ საკითხს. ამიტომ ამ პროცესს არავითარი საერთო არ აქვს ტერიტორიის გამიჯვნასთან, როგორც ამას ისინი უწოდებენ.

მეორე მხრივ, ეს მავთულხლართები დამაბრკოლებელი ფაქტორია ცხინვალის რეგიონში მცხოვრები მოქალაქეებისთვის. საზღვრის დარღვევის სტატისტიკას თუ გადავხედავთ, იქიდან გადმომსვლელი ადამიანი უფრო მეტია დაკავებული, ვიდრე – აქედან გადამსვლელი.

უბრალოდ, ისინი ჩასაფრებულები არიან, ჩვენ მხარეს გადმოდიან და იტაცებენ. ძირითადად პროვოკაციულ დაკავებებს აქვს ადგილი. ხშირია შემთხვევა, როდესაც იქიდან ჩვენ მხარეს სოფლებში გადმოდიან.

– იქიდან რისთვის გადმოდიან?

– მოსახლეობა გადმოდის თავისი საჭიროებების გამო, ან რაღაცის საყიდლად, ან ნათესავთან. სამედიცინო საჭიროებები აქვთ. ვაჭრობა მიმდინარეობს. აქეთ ყიდულობენ და მიაქვთ.

– იქაურ მცხოვრებლებს აქეთ არ უშვებენ?

– რა თქმა უნდა, არ უშვებენ. ცხინვალის რეგიონში მცხოვრები მოსახლეობა, ფაქტობრივად, შინაპატიმრობაშია. პირველ რიგში მათ არ უშვებენ. ოკუპირებულ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობის გადაადგილება არის შეზღუდული. პირველ რიგში, იქ მცხოვრები მოსახლეობისთვის არის მავთულხლართი.

– თქვენ ახლა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან სტუმრები გყავდათ. რას უკავშირდებოდა ეს შეხვედრა?

– ამჟამად ჩვენთან არის ორი საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც დევნილების მდგომარეობაზე კვლევებს ატარებს. წინა კვირაში ბაქოში გვქონდა ქართულ-ოსური შეხვედრები, რომელშიც ახალგაზრდები მონაწილეობდნენ. მათთან ძალიან ინტენსიური კომუნიკაცია გვაქვს, რაც სხვადასხვა ფორმატის შეხვედრებში აისახება.

– რა საკითხებზე მსჯელობთ?

– ეკონომიკურ თანამშრომლობაზე, სოფლის მეურნეობის განვითარებაზე, კულტურის სფეროში ურთიერთობის საკითხებზე, კულტურულ ღირებულებებზე.

– ამ ურთიერთობების განვითარება იქაურ მოსახლეობას როგორ წარმოუდგენია?

– გარწმუნებთ, რომ იქაური მოსახლეობის დიდ უმრავლესობას ცხოვრება მშვიდობიან გარემოში უნდა. შიში აქვთ, რომ ჩვენი მხრიდან აგრესია კიდევ შეიძლება მოხდეს.

– თქვენც ასე ფიქრობთ?

– მე ასე არ ვფიქრობ, თუმცა, ამის შესაძლებლობა თეორიულად ყოველთვის არსებობს. ამ შემთხვევაში, როდესაც ჩვენი მხრიდან ვითარებას აკონტროლებს ევროკავშირის მისია, რა თქმა უნდა, ჩვენი მხრიდან აგრესია გამორიცხულია, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია ჩვენი საზოგადოებების კომუნიკაცია.

ასეთ შემთხვევაში ეს საკითხი, საერთოდ, არ დადგება. საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობას უნდა სჯეროდეს, რომ მშვიდობიანად ამ საკითხის მოგვარება შესაძლებელია თუ მოსახლეობასა და საზოგადოებებს შორის ინტენსიური კომუნიკაცია იქნება.

– რუსეთის საკითხი?

– ეს სხვა თემაა. ჩვენ ახლა ჩვენი საზოგადოებების კომუნიკაციაზე ვლაპარაკობთ, პრობლემის მშვიდობიანი მოგვარების უნდა გვჯეროდეს, რაც ჩვენს საზოგადოებაში დღემდე არ არის მიღწეული.

– თქვენ თქვით, რომ ქართველებსა და ოსებს შორის შეხვედრები იმართება ბაქოში. ვინ არის ამის მოთავე?

– ხშირ შემთხვევაში ასეთ შეხვედრებს ჩვენ თვითონ ვაწყობთ.

– ძალიან ბევრი საკითხია, რომლებზეც, ალბათ, მედიასთან არ საუბრობთ.

– დიახ, მაგრამ ისევ ჩვენივე უსაფრთხოებიდან და კეთილდღეობიდან გამომდინარეა. შეხვედრებში მონაწილე პიროვნებებს თუ გავშიფრავთ, იქ პრობლემები შეექმნებათ.

– ჩვენ გვაინტერესებს მათი განწყობები და არა პიროვნებების იდენტიფიკაცია.

– გასაგებია. ჩვენ ყოველდღიურად ძალიან ბევრ ადამიანს ვეკონტაქტებით და გვაქვს აზრთა გაცვლა-გამოცვლა. ჩვენ ადამიანური ურთიერთობები გვაქვს და ამას არავითარი პროექტი არ სჭირდება. იმ ადამიანებს უნდათ დაინახონ, რომ მათ შესახებ წერენ არა მხოლოდ იმას, რომ მკვლელები და სეპარატისტები არიან.

– სხვა ურთიერთობები ჩვენ არ გვაქვს, გარდა იმისა, რომ ვდგავართ ფაქტის წინაშე – ტატუნა შვილი მოკლეს, შინაგანი ორგანოები ამოაცალეს. ამის იქით ჩვენ, სამწუხაროდ, ვერაფერს ვხედავთ.

– ისინი თბილისშიც ჩამოდიან, მაგრამ ამის აფიშირებას ჩვენ არ ვახდენთ.

ქართულ სუნელებში ტყვიის შემცველობაზე ახალი ინფორმაცია ვრცელდება

სურსათის ეროვნული სააგენტო ნიუ იორკის ჯანდაცვის დეპარტამენტის მიერ ქართულ სუნელებში ტყვიის შემცველობაზე გაკეთებულ ახალ განცხადებას ეხმიანება. სააგენტოს ცნობით, მიმდინარე წელს, სუნელებისა და სანელებლების 84 ნიმუშიდან ტყვიის შემცველობა მხოლოდ ორ შემთხვევაში დაფიქსირდა. ინფორმაციას 1ტვ ავრცელებს.

სურსათის ეროვნული სააგენტოს სურსათის უვნებლობის დეპარტამენტის ხელმძღვანელის გიორგი მიქაძის თქმით, 2017 წელს ნორმების დარღვევების ასობით ფაქტი დაფიქსირდა.

– გასულ წელს, ნიუ-იორკის ჯანდაცვის დეპარტამენტმა კვლევები ჩაატარა, ემიგრანტი ბავშვების სისხლი გამოიკვლიეს და აღმოჩნდა ტყვიის მაღალი შემცველობა. დაიწყო კვლევა და აღმოჩნდა, რომ ტყვია ფიქსირდებოდა ჩვენგან წაღებულ სუნელებში, საუბარია კუსტარულად დამზადებულ სუნელებზე. აღსანიშნავია, რომ როდესაც ჩვენ კვლევა დავიწყეთ, იგივე შედეგები მივიღეთ, გვქონდა ძალიან მაღალი დარღვევები სუნელებში და სანელებლებში. ამან მოიტანა მთავრობის შესაბამისი დადგენილება. გამოიკვეთა, რომ საქმე გვქონდა ფალსიფიკაციასთან, განსაკუთრებით ყვითელი ყვავილის შემთხვევაში, მას ერეოდა არასასურსათო საღებავი, რომელსაც საერთო არ ჰქონდა ყვითელ ყვავილთან. შესაბამისად, რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეც იყო აღძრული. ჩვენ იძულებული გავხდით, მიგვეღო დროებითი ზომები, რომელიც ითვალისწინებდა შემდეგს – ან ადგილზე დაფქვილიყო ან ის უნდა ყოფილიყო დაფასოებული, რომ იდენტიფიკაცია შესაძლებელი ყოფილიყო, რომელიც ჩვენ მიერ იქნებოდა გაკონტროლებული. ჩვენ გამოვითხოვეთ ნიუ-იორკის ჯანდაცვის დეპარტამენტის კვლევები და გაირკვა, რომ მიზეზშედეგობრივი პასუხები ვერ დადგინდა, – განაცხადა გიორგი მიქაძემ.

1წელი გავიდა მას შემდეგ, რაც ქართულ სუნელებში ტყვიის მაღალ შემცველობასთან დაკავშირებით ნიუ იორკის ჯანდაცვის დეპარტამენტის განცხადება გახმაურდა.

2017 წლის 30 ივნისს კაროლინა როდრიგესმა, ნიუ იორკის ჯანდაცვის დეპარტამენტის პრესსპიკერმა, „ამერიკის ხმას“ უთხრა, რომ ქართულ სუნელებში ტყვიის მაქსიმალური შემცველობა 27.000 პპმ-ს. წელს კი „ტყვიის შემცველობა აღემატებოდა 5 პპმ-ს და 48.000 პპმ-საც კი აღწევდა“. ეს ინფორმაცია ამერიკის ხმას კაროლინა როდრიგესმა 2018 წლის 2 ივლისს მიაწოდა.

2018 წლის 7 თებერვალს ცნობილი გახდა, რომ საქართველოს მთავრობის დადგენილებით, სუნელების და სანელებლების წარმოება – გადამუშავებასა და ბაზარზე განთავსებასთან დაკავშირებით, რისკის მართვის დროებითი ზომები ამოქმედდება.

„ინდუსტრიის შემოსავალი 10-15-ჯერ ნაკლებია იმ ციფრებზე, რომლებსაც ოპონენტები ასახელებენ“

სათამაშო ბიზნესასოციაციის ხელმძღვანელის განცხადებით, სექტორის წლიური ბრუნვა, შემოსავლები და ხარჯები არსებული სტატისტიკური მონაცემებისგან სრულიად განსხვავებულია. ზურა ბერუაშვილის განმარტებით, ხდება ციფრებით არასწორად აპელირება.

– საუბრობენ მილიარდებზე, რაც რეალური მონაცემებისგან ბევრად განსხვავდება. ინდუსტრიის შემოსავალი 10-15-ჯერ ნაკლებია იმ ციფრებზე, რომლებსაც ჩვენი ოპონენტები ასახელებენ, – აღნიშნა ბერუაშვილმა.

მისივე განმარტებით, სტატისტიკური მონაცემების წარმოება მეტნაკლებად მოძველებული მეთოდოლოგიით ხორციელდება.

– არსებობს ინფორმაცია, რომ სათამაშო ბიზნესის

შემოსავალი და ბრუნვა თითქოს 6 მილიარდამდეა. რეალურად კი ჩვენ ხელთ არსებული მონაცემებით, ეს ერთობლივი შემოსავალი 700 მილიონიდან 800 მილიონამდე მერყეობს. მაგრამ ამას უნდა გამოაკლდეს

შესაბამისი ხარჯები, რაც ამ ბიზნესისთვის ძალიან მაღალია. გასულ წელს სათამაშო ბიზნესმა გადასახადების სახით დაახლოებით 350 მილიონი ლარი გადაიხადა. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ არის სრული ციფრი. იმდენად რამდენადაც, ბიზნესში არსებობენ არალიცენზირებული კომპანიებიც და საერთო ჯამში ჩვენი წარმოდგენით, საგადასახადო ტვირთი სათამაშო ბიზნესისთვის წლის განმავლობაში ნახევარ მილიარდამდე მერყეობს, – აღნიშნა ზურა ბერუაშვილმა.

მისი განცხადებით, იმის გამო, რომ საქართველოს სათამაშო ბიზნესის ინდუსტრია ტექნოლოგიურად განვითარდა, სტატისტიკის წარმოება მოძველებული მეთოდოლოგიით ხდება, რაც ბიზნესის შესახებ სწორი ინფორმაციის გავრცელებას უშლის ხელს. ამიტომაც სათამაშო ბიზნესასოციაციამ საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურთან გააფორმა მემორანდუმი. მხარეები ამბობენ, რომ ეს ხელს შეუწყობს საზოგადოებაში სათამაშო ბიზნესის შემოსავლებისა და ბიუჯეტში გადახდილი თანხების შესახებ სწორი აზრის შექმნას.

რაც შეეხება ზოგადად აზარტული თამაშების საქმიანობით დაკავებული საწარმოების ბრუნვას, საქსტატის მიერ „ბიზნესპრესნიუსისთვის“ მოწოდებული მონაცემებით, 2017 წელს მან 5,649 მილიარდი ლარი შეადგინა. **ბპნ**

ვაკის დასაქმების ფორუმი გაიმართა

თბილისის საკრებულოს ვაკის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატების გიორგი ბირბიჩაძისა და გიორგი მუსხელიშვილის ინიციატივითა და და სოციალური მომსახურების სააგენტოს თანამშრომლობით ვაკის დასაქმების ფორუმი გუშინ ვაკის მედიათეკაში გაიმართა.

დასაქმების ფორუმზე 17-მდე დამსაქმებელი 2.000-ზე მეტი შრომის ბაზარზე აქტიური ვაკანსიით წარსდგა. სააგენტოს დასაქმების დეპარტამენტის წარმომადგენლებმა შრომის ბაზრის საინფორმაციო მართვის სისტემა წორკნეტ.გოვ.გე-ზე დარეგისტრირებულ 25 ათასს სამუშაოს მაძიებელს გაუგზავნეს საინფორმაციო მოკლე ტექსტური შეტყობინებები და ფორუმის შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია. დღესაც, როგორც განვლილ ფორუმებზე საზოგადოების მხრიდან დიდი აქტივობა დაფიქსირდა.

კერძო სექტორმა თავისუფალი სამუშაო ადგილები მომსახურების, გაყიდვების, საამშენებლო, ტურიზმის, საბანკო და სადაზღვევო სფეროებიდან წარმოადგინეს.

დასაქმების ფორუმში შრომის ბაზრის მართვის საინფორმაციო სისტემა წორკნეტ.გოვ.გე-ზე რეგისტრირებულმა სამუშაოს მაძიებლებმა მიიღო მონაწილეობა. ფორუმის ფარგლებში სამუშაოს მაძიებლები და დამსაქმებლები ერთ სივრცეში, სწრაფად და მარტივად დაუკავშირდნენ ერთმანეთს, ამავდროულად, მათ მიეწოდათ ინფორმაცია, ყველა იმ პროგრამისა და სერვისების შესახებ, რასაც სოციალური მომსახურების სააგენტო დასაქმების ხელშეწყობის მიზნით ქვეყნის მასშტაბით ახორციელებს.

საკრებულოს ჩართულობით ორგანიზებული დასაქმების ფორუმების ჩატარება თბილისის მასშტაბით უკვე სისტემატურ ხასიათს იღებს. ანალოგიური ფორუმები უკვე ჩატარდა ჩუღურეთის, ნაძალადევის, ისნის, გლდანის, საბურთალოსა და სამგორის რაიონებში. სოციალურ მომსახურების სააგენტო თბილისის საკრებულოსთან თანამშრომლობას სამომავლოდაც გეგმავს. ერთობლივი ფორუმების ციკლის განახლება დედაქალაქის მასშტაბით სექტემბრიდან განახლდება.

ფორუმის ფორმატი რეალური დამსაქმებლებისა და სამსახურის მაძიებლის ორგანიზებულ შეხვედრას და მყისიერ დაკავშირებას ითვალისწინებს. საბოლოო მიზანი უმუშევართა რიცხვის შემცირებისათვის დასაქმების მეტი შესაძლებლობის შექმნაა.

კომერსანტი

გენგეგმის პროექტის თანახმად, თბილისის ტერიტორიის 54% რეკრეაციულია

თბილისის საკრებულოს ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის თავმჯდომარე რევაზ სოხაძის განცხადებით, გენგეგმის პროექტის თანახმად, თბილისის ტერიტორიის 54% რეკრეაციულია. როგორც სოხაძემ განაცხადა, გენგეგმაზე მომუშავე ჯგუფმა და თბილისის მერიამ დიდი სამუშაო შეასრულეს გენგეგმის პირველადი პროექტისთვის ისეთი სახის მისაცემად, რასაც საკრებულო დაამტკიცებდა.

– რამდენიმე თვის ოცდაოთხსაათიანი მუშაობა სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა. ძალიან კარგად მახსოვს, როდესაც მიმდინარე წლის აპრილში გენგეგმაზე მომუშავე ჯგუფის წარმომადგენლებს შევეკამათეთ, რატომ გააუქმეს შიდაკვარტალური გამწვანება, მაშინ ექსპერტების გარკვეული ნაწილი ამბობდა, რომ გენერალური გეგმა ასეთ დეტალიზაციას არ გულისხმობდა. ჩვენმა ოპოზიციონერმა კოლეგებმა აიტაცეს ეს პოზიცია და აცხადებდნენ, რომ გენგეგმა ასეთი დეტალიზებული არ უნდა იყოს. გენერალურ გეგმას შვიდი თემატური რუკა ახლავს და თუ რამე შეკითხვები გაქვთ, მათ შორის გამწვანებასთან დაკავშირებით, სწორედ ამ რუკებს უნდა ჩახედოთ, – მიმართა ოპოზიციას რევაზ სოხაძემ.

მისი თქმით, გენგეგმის პროექტის თანახმად, თბილისის ტერიტორიის 54% რეკრეაციულია, ხოლო ძველ დოკუმენტში ეს მაჩვენებელი 50%-ს შეადგენდა.

დეპუტატის განმარტებით, ბოლო პერიოდში დეველოპერების მხრიდან თბილისის მერიის მიმართ არსებობს პრეტენზია იმასთან დაკავშირებით, რომ აღარ ხდება ინტენსივობის კოეფიციენტების გადაჭარბება, როგორც ეს ადრე ხდებოდა.

– რაც შეეხება სამშენებლო კოეფიციენტსა და გენგეგმას, ეს ორი საკითხი ერთმანეთთან პირდაპირ ბმაში არ არის. გენგეგმაში ნათქვამია, რომ ჩვენ, საკრებულო და მერია ვაპირებთ, ძირითადად ჩარჩო გეგმებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმების დამუშავების კუთხით ვიაროთ. ამ შემთხვევაში, ზოგადად, ქალაქში სამშენებლო განვითარებას ვგულისხმობ, – აღნიშნა რევაზ სოხაძემ.

ბპნ

თბილისში უბნური ტიპის ახალი დასახლებები დიდი პოპულარობით სარგებლობს

დეველოპერები ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში აქტიურად ავითარებენ უბნური ტიპის დასახლებებს.

მეგაპოლისის ხმაურისა და დაბინძურების მაღალი მაჩვენებლიდან გამომდინარე, მომხმარებლები ცენტრიდან მოშორებულ, მშვიდ და ეკოლოგიურად სუფთა უბნებში ცდილობენ ბინების ყიდვას.

თბილისში ერთ-ერთი პოპულარული დასახლებაა „მეტრა პარკი“, რომელიც ბაგებში მდებარეობს.

დედაქალაქის ცენტრთან სიახლოვე და, ამავდროულად, სატრანსპორტო არტერიებით შექმნილი ქაოსისგან დისტანცირება, განლაგება შემაღლებულ ადგილზე, ქალაქის სხვა უბნებისგან განსხვავებული ეკოლოგიური პარამეტრები, სილამაზე, სიმწვანე და სიმყუდროვე – ეს ის ძირითადი მიზეზებია, რის გამოც მყიდველები „მეტრა პარკს“ ირჩევენ.

კომპანია „მეტრა დეველოპმენტი“ ახალ უბანს წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით ავითარებს. ყველა სამშენებლო პროცესი ვადების და სამუშაოების წარმოების გრაფიკის მკაცრი დაცვით მიმდინარეობს. მშენებლობის პარალელურად უდიდესი ყურადღება ეთმობა სისუფთავეს და წესრიგს.

„მეტრა პარკის“ კომპლექსი, რომლის ფართობიც 51,133 კვადრატული მეტრია, 23 შენობა-ნაგებობისგან შედგება, საიდანაც 20 უკვე აშენებულია.

ამა წლის სექტემბერში კომპლექსის ტერიტორიაზე გაიხსნება საბავშვო ბაღი, რომელიც მოემსახურება როგორც „მეტრა პარკში“, ისე თბილისის სხვა უბნებში მცხოვრებ აღსაზრდელებს.

„მეტრა პარკის“ მთელი ტერიტორია გამწვანებულია: კომპანია უვლის როგორც ბუნებრივ ლანდშაფტს, ასევე ზრუნავს მის განვითარებაზე. მოწყობილია სტადიონი და საბავშვო მოედანი, განვითარების სტადიაზეა კიდევ არაერთი სკვერი.

„მეტრა პარკის“ გარე ტერიტორიაზე სივრცეების არსებობა პასუხობს თანამედროვე თბილისის ერთ-ერთ მწვავე პრობლემას, პარკირებას. ასევე, მყიდველებს აქვთ საშუალება შეიძინონ შენობებში არსებული ავტოსადგომები.

საცხოვრებელ კომპლექსში წესრიგის შენარჩუნებისათვის და გამწვანების მოვლა-პატრონობისთვის „მეტრა დეველოპმენტმა“ დააფუძნა საექსპლუატაციო კომპანია „მეტრა სერვისი“. ძირითადი მომსახურების ჩამონათვალი მოიცავს გარე ტერიტორიის, სტადიონისა და საბავშვო სკვერის ყოველდღიურ დასუფთავებას, მობინადრეებთან შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით სადარბაზოების დასუფთავებასა და სახლების ლიფტების ექსპლუატაციას.

მომავალში კომპანია გეგმავს, გააფართოოს შეთავაზებული მომსახურების სპექტრი.

კომერსანტი

მალხაზ კობაური: „სმიტები ორმა უცხოელმა დახოცა და ისინი დამემუქრნენ, რომ ოჯახს ამომიწყვეტდნენ“

პროკურორი ყაზარაშვილი: „მალხაზ კობაურმა რაიან სმიტი იმიტომ მოკლა, რომ მან იარაღის დაუდევრად გამოყენების გამო შენიშვნა მისცა“



ცოლ-ქმრისა და 4 წლის ბავშვის მკვლელობაში ბრალდებული მწყემსის, მალხაზ კობაურის განცხადებით, სმიტების ოჯახის წევრები მას არ მოუკლავს და „იქ ორი უცხოელი მამაკაცი იყო“.

ამის შესახებ ხადას ხეობაში მომხდარი საზარელი მკვლელობის შესახებ დაკავებულმა მწყემსმა გუშინ 11 ივლისს, მცხეთის სასამართლოში მიმდინარე პროცესისას ისაუბრა.

– ისინი მე არ დამიხოცავს. ორი უცხოელი მამაკაცი იყო და იმათ დახოცეს. მე დამემუქრნენ, რომ ოჯახს ამომიწყვეტდნენ, – განაცხადა კობაურმა.

მოგვიანებით ბრალდებულმა მოსამართლესაც მიმართა.

– ისინი, პატივცემულო მოსამართლევ, ჩემი მოკლულები არ არიან. როცა ვუთხარი სამართალდამცველებს, რომ ისინი ჩემი მოკლულები არ არიან, არ მომისმინეს. ყურადღებასაც არ მაქცევდნენ, – მიმართა ბრალდებულმა მოსამართლეს.

მოგვიანებით ბრალდებულის სიტყვები მისმა ადვოკატმა მურმან ნიკოლეიშვილმა განმარტა.

– როგორც ჩემთვის აქვს ნათქვამი, უცხო პირებზეა საუბარი. ჩემთან უცხოელები არ უხსენებია. ალბათ, ნერვიულობის ფონზე სავარაუდოდ, შეცდომით თქვა სასამართლოზე, – აღნიშნა მურმან ნიკოლეიშვილმა.

მცხეთის რაიონულმა სასამართლომ მალხაზ კობაურს 2 თვიანი წინასწარი პატიმრობა მიუსაჯა.

მოცემულ საქმეზე წინასასამართლო სხდომა გაიმართება 2018 წლის 4 სექტემბერს 14:00 საათზე მცხეთის რაიონულ სასამართლოში.

* * *

– ჩემი შვილი არის შანტაჟის ქვეშ, – ამის შესახებ მალხაზ კობაურის დედამ მარიამ მარტიაშვილმა განაცხადა.

მისი შეფასებით, სასამართლოს მისი შვილი პატიმრობაში არ უნდა დაეტოვებინა.

– აჭიკჭიკეს, როგორც უნდოდათ ისე და მერე აუყვანეს ადვოკატი. ჩემი შვილი არის შანტაჟის ქვეშ. ვიღაც უდგას უკან, არ ვიცი სხვა არაფერი. თქვა, რომ აშანტაჟებდნენ და ოჯახის ამოხოცვით ემუქრებოდნენ, – განაცხადა მარტიაშვილმა.

ბრალდებულის დედისთვის უცნობია, ვინ არიან ის უცხოელები, ვისზეც მისმა შვილმა ისაუბრა და დანაშაულის ჩადენაში ამხილა.

ამასთან, მარიამ მარტიაშვილი მკვლელობის იმ ვერსიის გამოძიების აუცილებლობაზეც საუბრობს, რომელიც მისმა შვილმა გუშინდელ სხდომაზე დაასახელა.

* * *

პროკურორის ინფორმაციით, მალხაზ კობაურმა სამართალდამცველებს მცირეწლოვანი ბავშვის ცხედარი თავად აპოვნინა.

როგორც პროკურორმა სასამართლო სხდომაზე აღნიშნა, უშუალოდ ბრალდებულმა მიუთითა პოლიციელებს ის ადგილი, სადაც მცირეწლოვანი ბავშვის ცხედარი და სხვადასხვა ნივთი გადამალა.

ამასთან, პროკურორმა დავით ყაზარაშვილმა ბრალდებულის მიერ სასამართლოზე გაჟღერებულ ვერსიაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ კობაური ისეთ დეტალებზე საუბრობს, რომ შეუძლებელია, ეს დეტალები ისეთმა პირმა იცოდეს, ვინც შემთხვევის ადგილზე, დანაშაულის მოხდენისას არ იმყოფებოდა.

– უშუალოდ მალხაზ კობაურმა მიუთითა ის ადგილი, სადაც გადამალული ჰქონდა მცირეწლოვანი ბავშვის გვამი და სხვადასხვა ნივთი, რომელიც ნანახი იყო ხადას ხეობაში. დღეს ჩვენ მოვისმინეთ, რომ თითქოს ბრალდებულს ვინმემ დააძალა, ოჯახის წევრებზე რაიმე სახის ძალადობის განხორციელების მუქარით, რომ დაებრალებინა დანაშაული. თუმცა აღსანიშნავია, რომ მალხაზ კობაურმა ისეთ დეტალებზე ისაუბრა გამოძიებასთან, რომლებიც შეუძლებელია, იცოდეს პირმა, თუ ის ადგილზე არ იმყოფებოდა და უშუალოდ არ ჩადიოდა დანაშაულს.

კერძოდ, თუ როგორ მოკლა მამაკაცი, რომელსაც ჯერ ზურგში ესროლა და შემდეგ თავში, შემდგომ როგორ ესროლა ბავშვს, როგორ გამოეკიდა დედას და ა.შ. ეს ყველა დეტალი შეუძლებელია, იცოდეს იმ ადამიანმა, ვინც უშუალოდ არ იმყოფებოდა შემთხვევის ადგილზე და ვინც არ ახორციელებდა ყოველივე ზემოაღნიშნულს, მითუმეტეს, რომ მას გააჩნდა ამის საშუალება, ჰქონდა თოფი და იმყოფებოდა ნასვამ მდგომარეობაში, – აღნიშნა პროკურორმა.

ამასთან, დავით ყაზარაშვილმა განაცხადა, რომ ბრალდებულთან მიმართებაში განხორციელდა ფარული საგამოძიებო ღონისძიება და ამ დროს მალხაზ კობაურმა მცხეთა-მთიანეთის პოლიციის თანამშრომელთან იმ დეტალებზე ისაუბრა, რომლებიც მის მიერ დანაშაულის ჩადენას მიუთითებდა.

პროკურორის ინფორმაციით, მალხაზ კობაურმა რაიან მაიკლ სმიტის მკვლელობა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც სმიტმა იარაღის დაუდევრად გამოყენების გამო შენიშვნა მისცა.

– რაიან მაიკლ სმიტმა მალხაზ კობაურს სთხოვა, ეჩვენებინა ჩანჩქერი, ვინაიდან ის ოჯახთან ერთად ტურისტული მიზნით იყო ასული ხადას ხეობაში. კობაური დათანხმდა და გაყვა მათ. ერთ-ერთი შეჩერებისას რაიან მაიკლ სმიტმა მას იარაღის დაუდევრად მოხმარების გამო შენიშვნა მისცა, რაზეც მალხაზ კობაური განაწყენდა და მისი მოკვლა გადაწყვიტა. კობაურმა სანადირო თოფი შემართა და 4 წლის შვილის თანდასწრებით, დამიზნებით ესროლა რაიან მაიკლ სმიტს ზურგის არეში, რის შემდეგაც ის დაეცა. კობაურმა განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, შემდეგ დამიზნებით ესროლა თავში რაიან მაიკლ სმიტს და მოკლა. ამავდროულად, ჩადენილი დანაშაულის დაფარვის მიზნით გადაწყვიტა ლორა სმიტის და მისი მცირეწლოვანი შვილის მკვლელობაც. მან თოფიდან ამოიღო გასროლილი მასრები და ჩაალაგა საბრძოლო ვაზნები. ლორა სმიტი გაიქცა თავის გადასარჩენად, რა დროსაც გადავარდა სიმაღლიდან და გარდაიცვალა. აღნიშნულის შემდეგ მალხაზ კობაურმა თოფით თავის არეში ესროლა მცირეწლოვან ბავშვს, რის შემდეგაც ის ადგილზევე გარდაიცვალა.

ამის შემდეგ კობაურმა გასროლილი მასრები მდინარეში გადაყარა. შემდეგ რაიან მაიკლ სმიტის ცხედარი გადააგდო მდინარეში და შემდეგ მცირეწლოვანი ბავშვის ცხედარი სხვა ნივთებთან ერთად გადააგდო თოვლის ზვავის შედეგად ბუნებრივად წარმოშობილ ქვაბულში. ამის შემდეგ მალხაზ კობაურმა დატოვა შემთხვევის ადგილი და დანაშაულის იარაღი – თოფი გადამალა დუშეთის რაიონის ერთ-ერთ სოფელში, – განაცხადა დავით ყაზარაშვილმა.

* * *

მალხაზ კობაურის ადვოკატ მურმან ნიკოლეიშვილის თქმით, პროკურატურას სურდა, რომ დანაშაული ცხელ კვალზე გაეხსნა და ამიტომ დააკავეს მისი დაცვის ქვეშ მყოფი.

– მეჩვენება, რომ ეს საქმე არის ნაჩქარევად გახსნილი, რადგან არიან ამერიკის მოქალაქეები და რეზონანსული საქმეა. საქმის მასალები გადმოგვეცა დარღვევით, პროცესამდე ერთი საათით ადრე. ასევე საგამოძიებო მოქმედებები მალხაზ კობაურს ჩაუტარდა ნაჩქარევად, თუნდაც ნიმუშების აღება სხეულიდან. ეს არის დაცვის უფლების დარღვევა. სურთ, რომ საქმე სწრაფად გაიხსნას და დააკავეს ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი, – განაცხადა ადვოკატმა.

* * *

ხადას ხეობაში მომხდარი მკვლელობის საქმის გამოძიებაში საქართველოს დახმარებას აშშ-ის გამოძიების ფედერალური ბიურო უწევს.

ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოში განუცხადეს.

აღნიშნულთან დაკავშირებით საელჩოში დამატებით არ საუბრობენ, თუმცა ტელეკომპანია „პალიტრანიუსის“ ინფორმაციით, ამერიკელები ტექნიკურ ექსპერტიზაში მიიღებენ მონაწილეობას, რაც მკვლელობის ადგილზე ნაპოვნი ფოტოაპარატისა და ტელეფონის ექსპერტიზას გულისხმობს.

მესტიაში 23 წლის ახალგაზრდა მოკლეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტში, მიმდინარე წლის 11 ივლისს, ღამით, მესტიის რაიონული საავადმყოფოდან შევიდა შეტყობინება, რომ სამედიცინო დაწესებულებაში გულმკერდის არეში მიყენებული ჭრილობით 1993 წელს დაბადებული ლ.ფ. შეიყვანეს. დაშავებულს ოპერაცია ჩაუტარდა, თუმცა, საავადმყოფოში მიყვანიდან რამდენიმე საათში ლ.ფ. გარდაიცვალა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მიმდინარე წლის 11 ივლისს, მესტიაში მდებარე ერთ-ერთ სასტუმროში ლ.ფალიანს და მის ორ მეგობარს დაუდგენელმა პირებმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, ურთიერთშელაპარაკების შემდეგ კი ლ.ფ. ცივი იარაღით დაჭრეს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალნენ.

მომხდარ ფაქტზე გამოძიება საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს და სასჯელის სახით 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„ნიუპოსტის“ ინფორმაციით, მესტიის მკვიდრმა დავით ნ-მ ფალიანი ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მოკლა.

მკვლელობამდე ახალგაზრდებმა რამდენჯერმე იჩხუბეს, ადგილზე პოლიციაც იყო მობილიზებული და სიტუაცია დროებით განმუხტეს, თუმცა არსებული ინფორმაციით, ბრალდებული გვიან ღამით 23 წლის ბიჭს სახლში მიუვარდა და ცივი იარაღით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა, მათ შორის, ფილტვსა და გულში.

ახალგაზრდა მამაკაცი ცივი იარაღით მიყენებული ჭრილობებით მესტიის საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

როგორც ირკვევა, ბრალდებული ნასამართლევია და მან საპყრობილე 7 თვის წინ დატოვა.

„რუსეთი ოკუპანტია“ სტიკერების გაკვრისთვის 3 პირს 50-ლარიანი ჯარიმა შეუფარდეს

თბილისის საქალაქო სასამართლომ სტიკერების „რუსეთი ოკუპანტია“ გაკვრის ფაქტზე, სამ პირს სასჯელის სახედ 50-ლარიანი ჯარიმა შეუფარდა, დანარჩენი 5 პირი კი გააფრთხილა.

ამის შესახებ პროცესის დასრულების შემდეგ ადვოკატმა ბექა კვინიკაძემ ჟურნალისტებს განუცხადა.

საქმე ეხება ორი კვირის წინ მომხდარ შემთხვევას, როდესაც მან და მოძრაობის სხვა წევრებმა რუსთაველის გამზირზე სტიკერი შინაარსით „რუსეთი ოკუპანტია“ გააკრეს.

მისივე თქმით, სტიკერის გაკვრის გამო პოლიციამ ისინი ქალაქის იერსახის დამახინჯების ბრალდებით პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანა.

ოზურგეთში მიკროავტობუსში ხელყუმბარა აეფეთქეს

აფეთქება მოხდა 10 ივლისს, გვიან ღამით, ქალაქ ოზურგეთში, იოანე პეტრიწის ქუჩაზე, 12-სართულიან საცხოვრებელ კორპუსთან, „ფანტანის“ ბინებთან.

აფეთქების შედეგად არავინ დაშავებულა.

გამოძიებისათვის დაუდგენელმა პირებმა აღნიშნულ კორპუსთან მდგომი „დელიკას“ მარკის მიკროავტობუსში ხელყუმბარა შეაგდეს.

აღნიშნული მიკროავტობუსი ამავე კორპუსში მცხოვრებ კიღურაძეების ოჯახს ეკუთვნის.

მიკროავტობუსის მფლობელები აფეთქების სავარაუდო მიზეზს ვერ ასახელებენ.

რომელი ბიზნესმენის დაყაჩაღებას გეგმავდნენ ჩატაევთან ერთად ლიკვიდირებული პირები

ტერორიზმის მხარდაჭერის საქმეზე ბრალდებულმა რამაზ მარგოშვილმა სასამართლო პროცესზე მორიგი სკანდალური ინფორმაცია გაახმოვანა.

ბრალდებულმა თქვა, რომ ბერი გაბრიელ სალოსის გამზირზე სპეცოპერაციისას ლიკვიდირებული პირები ასლანბეგ სოლტ ახმედოვი და იბრაჰიმ ადაშევი ერთ-ერთ ბიზნესმენზე თავდასხმასა და დაყაჩაღებას გეგმავდნენ. ამ საქმის ერთ-ერთ ინიციატორად კი ბრალდებულმა შავლახ ქავთარაშვილი დაასახელა, რომელსაც, მარგოშვილის მტკიცებით, ახმედ ჩატაევის ვალი ჰქონდა.

შავლახ ქავთარაშვილი ტერორიზმის მხარდაჭერის საქმეზე მარგოშვილთან ერთად დააკავეს, თუმცა მას არასაპატიმრო აღკვეთის ღონისძიება აქვს შეფარდებული, რადგან გამოძიებასთან ითანამშრომლა.

„ნიუპოსტი“ რამაზ მარგოშვილის ადვოკატს, ინგა ბოლოთაურს ესაუბრა. უფლებადამცველი ადასტურებს, რომ ბიზნესმენზე თავდასხმა იგეგმებოდა, თუმცა კონკრეტული გვარების დასახელებისგან თავს იკავებს.

– რამაზ მარგოშვილმა ამ საკითხზე ისაუბრა, უბრალოდ, მე არ მაქვს უფლება, დავასახელო კონკრეტული გვარები. რაც შემიძლია გითხრათ, არის ის, რომ ეს ადამიანები საქმის ერთ-ერთ მოწმესთან ერთად გეგმავდნენ თავდასხმას. სწორედ ამ მოწმის ინიციატივა იყო, განეხორციელებინათ ეს კანონსაწინააღმდეგო ქმედება, რაზეც თქვენ მესაუბრებოდით, – აღნიშნა ადვოკატმა.

კითხვაზე ჰქონდა თუ არა ლილოში დასაქმებულ ბიზნესმენს, რომელზეც თავდასხმა იგეგმებოდა, კავშირი აჰმედ ჩატაევის ბიზნესთან, რომელსაც ტერორისტი საქართველოში ფლობდა, უფლებადამცველმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ პირს ჩატაევთან შეხება არ ჰქონია.

– ეს საქმე თალაკვაძეს არ უკავშირდება, არც იმ 3 მილიონ დოლარს, რაზეც ითქვა. ეს არის სხვა ეპიზოდი და მარგოშვილი ამ ეტაპზე ამხელს იმ მოწმეს, რომელმაც მარგოშვილის წინააღმდეგ ცრუ ჩვენება მისცა, – განმარტა ბრალდებულის ინტერესების დამცველმა.

საბერძნეთიდან რუსი დიპლომატები გააძევეს

საბერძნეთის ხელისუფლებამ ქვეყნიდან რუსი დიპლომატები გააძევა. მათ შორისაა რუსეთის საელჩოს უსაფრთხოების ოფიცერი იაკოვლევიც.

რუს დიპლომატებს ბრალად ედებათ საბერძნეთის ხელისუფლების მაღალი რანგის ჩინოვნიკების მოსყიდვა და ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევა.

კურტ ვოლკერი: „უკრაინულ არმიას უფლება აქვს, საპასუხო ცეცხლი გახსნას!“

აშშ-ის პრეზიდენტის სპეცწარმომადგენელმა დონბასის კონფლიქტის მოგვარების საქმეში კურტ ვოლკერმა განაცხადა, რომ რუსეთი სამშვიდობო შეთანხმებებს უხეშად არღვევს. შედეგად დონბასში საომარი მოქმედებები გრძელდება.

– ამაზე პასუხისმგებლობა რუსეთს ეკისრება, – თქვა მან.

ვოლკერმა თქვა, რომ უკრაინული არმიის მიერ საპასუხო ცეცხლის გახსნა სრულიად გამართლებულია.

– უკრაინელები თავიანთ ტერიტორიაზე არიან და თავს იცავენ! უკრაინულ არმიას აქვს უფლება, საპასუხო ცეცხლი გახსნას, – ამბობს ვოლკერი.

კანადელი სამხედროები ლატვიაში კიდევ 4 წელიწადს დარჩებიან

კანადის პრემიერმა ტრიუდომ განაცხადა, რომ კანადის სამხედროები ლატვიაში კიდევ 4 წელიწადს დარჩებიან. გაიზრდება კანადელი სამხედროების რაოდენობაც. თუ დღეს მათი რიცხვი 450 მეომარს შეადგენს, მალე ის 540-ს მიაღწევს.

კანადელები ლატვიაში დისლოცირებული ნატოს კონტინგენტის შემადგენლობაში იმყოფებიან. მათ გარდა იქ არიან პოლონელი, სლოვაკი, იტალიელი, ესპანელი სამხედროები.

სერჟ სარგსიანის ძმისშვილი მკვლელობის მცდელობაშია ბრალდებული

სომხეთის ყოფილი პრეზიდენტის სერჟ სარგსიანის ძმისშვილი ჰაიკ სარგსიანი მკვლელობის მცდელობაში, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის უკანონო შეძენა-შენახვაშია ბრალდებული. ამის შესახებ სომხეთის საგამოძიებო კომიტეტი იუწყება.

გამოძიების მტკიცებით, 2007 წელს ერევანში ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით დაიჭრა დედაქალაქის მკვიდრი დავით სიმონიანი. იმავე დღეს პოლიციაში გამოცხადდა მოქალაქე არტურ ღევოდნიანი, რომელმაც განაცხადა, რომ სიმონიანს შემთხვევით ესროლა. სისხლის სამართლის საქმე მხარეთა შერიგების საფუძველზე დაიხურა. თუმცა 2018 წლის ივლისში სომხეთის გენერალურმა პროკურატურამ განაახლა გამოძიება და განაცხადა, რომ გასროლა შემთხვევითი არ ყოფილა, მკვლელობის მცდელობაში ეჭვმიტანილი კი სერჟ სარგსიანის ძმისშვილი ჰაიკ სარგსიანია.

საგამოძიებო კომიტეტი ჰაიკ სარგსიანისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობას მოითხოვს.

ტრამპი: „პუტინი ჩვენი კონკურენტია!“

აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ბრიუსელში ნატოს სამიტზე ჩავიდა. შემდეგ ის ლონდონში გადაფრინდება, სადაც ბრიტანეთის პრემიერ ტერეზა მეის შეხვდება, ტურნეს კი ჰელსინკიში ვლადიმერ პუტინთან სამიტით დაასრულებს.

ჟურნალისტებთან საუბარში ტრამპმა შენიშნა, რომ ევროპაში ფრიად სერიოზული საქმეები ელის. ტრამპმა კვლავ გაიმეორა, რომ ნატოს წევრი ბევრი ქვეყნის საქმიანობით უკმაყოფილოა:

– ისინი თავდაცვაზე ძალზე ცოტას ხარჯავენ! ეს ყოვლად დაუშვებელია. გამოდის, რომ ნატო ამერიკის ხარჯზე არსებობს, – თქვა ტრამპმა.

აშშ-ის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ ნატოს წევრი ქვეყნების ხელმძღვანელობასთან რთული საუბარი მოელის. არანაკლებ რთული იქნება ვიზიტი ბრიტანეთშიც, სადაც გარკვეული ქაოსი შეინიშნება.

– ამ ფონზე პუტინთან შეხვედრა ერთგვარად უფრო მარტივად მესახება. რუსეთის პრეზიდენტთან საუბარი ბევრად იოლი იქნება, ვიდრე ნატოს წევრი ზოგიერთი ქვეყნის ხელმძღვანელთან, – თქვა ტრამპმა.

– პუტინს მეგობრად თვლით თუ მტრად? – შეეკითხა ერთ-ერთ ჟურნალისტი.

– პუტინი ჩვენი კონკურენტია! – მიუგო ტრამპმა.

კოსოვოს პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევს შეხვდა

ერდოღანის ინაუგურაციაზე რუსეთის პრემიერი დიმიტრი მედვედევი ჩავიდა. ის შეხვდა კოსოვოს პრეზიდენტ ტოჩის, რომელიც ასევე ერდოღანის ინაუგურაციაზე იყო ჩასული. საუბარი ორ ქვეყანას შორის ურთიერთობებს შეეხო.

ჟურნალისტებთან საუბარში ტოჩიმ განაცხადა, რომ კოსოვო მზადაა რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზებისთვის. მან გამოთქვა რწმენა, რომ ამის შემდეგ სერბეთ-კოსოვოს ურთიერთობების ნორმალიზებაც მოხდება.

– ბატონ მედვედევს ეს პირდაპირ ვუთხარი. ისიც დამეთანხმა, – თქვა ტოჩიმ.

რუსეთის ხელისუფლებას კოსოვოს პრეზიდენტის ამ განცხადებაზე რეაგირება არ მოუხდენია. მანამდე რუსები კოსოვოს ხელმძღვანელობას სეპარატისტებად და ბანდიტებად მოიხსენიებდნენ.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

კალეიდოსკოპი

დანიის უნივერსიტეტში მოწამლული წიგნები აღმოაჩინეს



სამხრეთ დანიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში აღმოაჩინეს წიგნები, რომლებიც ძლიერმოქმედი შხამით იყო დაფარული.

მეცნიერები სამი წიგნით, რომლებიც XVI – XVII საუკუნეებით თარიღდება, იმის გამო დაინტერესდნენ, რომ მათში შუა საუკუნეების უცნობი მანუსკრიპტები იყო გამოყენებული. შესწავლის პროცესში სპეციალისტებმა შენიშნეს, რომ მათ მწვანე საღებავის მჭიდრო ფენის გამო ლათინური ტექსტის გარჩევა უჭირდათ.

კვლევამ აჩვენა, რომ ის საღებავი კი არა, სიცოცხლისთვის ძალზე საშიში შხამი იყო.

– იმ დროს, როდესაც ჩვენ რენტგენული სხივი მწვანე ზედაპირისკენ მივმართეთ, ფანტასტიკურად დიდი რაოდენობის დარიშხანი შევნიშნეთ, – განაცხადა უნივერსიტეტის დოცენტმა კაარე ლუნდ რასმუსენმა.

ამჟამად წიგნები სავენტილაციო კარადაშია მოთავსებული. მათი სკანირება მოხდება, რათა მეცნიერებს შხამთან შეხება არ მოუწიოთ.

ერთ-ერთი ჰიპოთეზის თანახმად, შხამი წიგნებზე იმ მიზნით წაუსვეს, რომ მწერებისა და მღრღნელებისგან დაეცვათ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა

მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.

ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

განცხადებები

სხვადასხვა

● დიდი გამოცდილების მქონე შპს მოგიგვარებთ ქვეწარმავლების, მღრღნელების, მწერების პრობლემას, ჩაგიტარებთ სადეზინფექციო სამუშაოებს. ტელ: 551-54-84-54; 599-74-04-51.

● სტომატოლოგიური მომსახურება ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 150 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98

ჯანმრთელობა, მკურნალობა

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

თბილისის დინამო ბერძნულ არისს შეხვდება

შვეიცარიაში საკალათბურთო ჩემპიონთა თასის წილისყრა გაიმართა. თბილისის დინამოს მეტოქე ბერძნული არისი იქნება. პირველი მატჩები 20 სექტემბერს გაიმართება, ხოლო საპასუხოები – 22 სექტემბერს. სუპერლიგის ჩემპიონი წარუმატებლობის შემთხვევაში ფიბა-ევროპის თასზე გადავა.

შეგახსენებთ, რომ შარშან თბილისის დინამომ ჩემპიონთა თასის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ესპანური ხუვენტუდის ბარიერი ვერ გადალახა და ფიბა-ევროპის თასის ჯგუფურ ეტაპზე გადაერთო, სადაც მისი მეტოქეები იყვნენ ბულგარეთის აკადემიკი, რუმინეთის კლუჟი და თურქეთის ისტანბული. დინამოელებმა მაშინ ყველა მატჩი დათმეს.

საფრანგეთი პირველი ფინალისტია

საფრანგეთი – ბელგია 1:0

სანკტ-პეტერბურგი. კრესტოვსკი
1:0 უმტიტი (52)

საფრანგეთი: ლორისი, პავარი, ვარანი, უმტიტი, ერნანდესი, პოგბა, კანტე, მატუიდი (ტოლისო 86), გრიზმანი, ჟირუ (ნ'ზონზი 84), მბაპე

ბელგია: კურტუა, კომპანი, ალდერვეირელდი, ვერტონგენი, ვიტსელი, დე ბრიუინე, ფელაინი (კარასკო 80), დემბელე (მერტენსი 60), შადლი (ბატშუაი 90), ლუკაკუ, ე. აზარი

მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში საფრანგეთმა ბელგია 1:0 დაამარცხა და ფინალში გავიდა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ გუნდები არ ცდილობდნენ მეტოქის შეცდომას დალოდებოდნენ და ორივე ნაკრებმა აქტიურად დაიწყო თამაში. თუნდაც ის ფაქტი, რომ პირველ ტაიმში 11-ჯერ დაარტყეს კარისკენ,

ამის დასტურია. უკეთესი შედეგი მხოლოდ ინგლისი-ტუნისის შეხვედრაში დაფიქსირდა. არადა, ჩემპიონატის ფინალისტის ბედი წყდებოდა, შესაძლოა, ჩემპიონის.

პირველი ტაიმი გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, თითოთითო ნაღდი მომენტი ორივე გუნდს ჰქონდა, მაგრამ მოწოდების სიმაღლეზე იდგნენ მეკარეები და გოლი არ გავიდა. თუმცა, ტაიმის ბოლოს ფრანგები უფრო მწვავედ უტევდნენ.

შესვენების შემდეგ ანგარიში მალევე გაიხსნა – გრიზმანის კუთხურის შემდეგ უმტიტიმ ფელაინის დაასწრო და ანგარიში გახსნა.

გაშვებული გოლის შემდეგ რობერტო მარტინესს გეგმა ბ არ აღმოაჩნდა, ბელგია ისევ ისე უტევდა, როგორც მანამდე, რასაც ფრანგები მომზადებული ხვდებოდნენ. ბოლოს დიდიე დეშამის შეგირდებს ვა ბანკზე წასული მეტოქის დასჯა რამდენჯერმე შეეძლოთ, მაგრამ ამის უფლებას კურტუა არ აძლევდა. თუმცა, ბელგიელთა მეკარეს ეს გმირობა არ დაუფასდა – მისმა თანაგუნდელებმა შეტევაში ვერ ივარგეს.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – სამუელ უმტიტი

გარდა იმისა, რომ საფრანგეთის ნაკრებმა კარი მშრალად შეინახა, რაც უმტიტის დიდი დამსახურებაც არის, ბარსელონის მცველმა მატჩი ერთადერთი და გადამწყვეტი გოლი გაიტანა. ამიტომაც სხვებზე მეტად სამუელი გამოვარჩიეთ.

მილანს ახალი მფლობელი ჰყავს

საფეხბურთო კლუბ მილანს ახალი მფლობელი ჰყავს. იტალიური მედიის ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც იონგჰონგ ლიმ ელიოტის მიერ გამოყოფილი სესხით ლომბარდიული გრანდი იყიდა, საქმე ცუდად წაუვიდა. როგორც ირკვევა, აზიელმა ბიზნესმენმა 412 მილიონიანი ვალის ნაწილი, 32 მილიონი ევრო, ვერ გადაიხადა და, სასამართლოს გადაწყვეტილებით, კლუბი ელიოტ მენეჯმენტის მმართველობაში გადავიდა.

– ელიოტ მენეჯმენტისთვის პატივია მილანის ფლობა. ის მზადაა, ასეთ რთულ ვითარებაში გუნდს გვერდით დაუდგეს და მას ამბიციური მიზნებისთვის ბრძოლაშიც დაეხმაროს. პირველ ყოვლისა, ჩვენ 50 მილიონ ევროს გამოვყოფთ, რომელიც აუცილებელია კლუბის ფუნქციონირებისთვის და უეფას განსაზღვრული პირობების დასაკმაყოფილებლად, – წერია კომპანიის განცხადებაში.

დავძენთ, რომ ელიოტი უკვე აწარმოებს მოლაპარაკებებს „როსონერის“ ლეგენდა პაოლო მალდინისთან, რომელიც, შესაძლოა, ძალიან მალე კლუბის მმართველად მოგვევლინოს.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

ტორპედომ შერიფი შეცდომებზე დაიჭირა

ტორპედო (საქართველო) – შერიფი (მოლდოვა) 2:1

ქუთაისი. რამაზ შენგელია
0:1 ბადიბანგა (14), 1:1 ქიმაძე (25), 2:1 კუხიანიძე (64პ)

ტორპედო: კვასხვაძე, გეგეჭკორი, კობახიძე (ხურცილავა 80), აზაცკი, მარინი, ჰლინკა, ცინცაძე, ქიმაძე (ტუღუში 76), დოლიძე (დაფე 62), კუხიანიძე, კუტალია

შერიფი: მიკულიჩი, გერსონი (ბოიჩუჩი 77), კრიშტიანუ, პალიჩი, კოვაჩევიჩი, კულუშიჩი, ბადიბანგა, კამარა, სუშიჩი, კენდიში, კაპიჩი (ჯო სანტოსი 66)

16-წლიანი პაუზის შემდეგ ქუთაისში ჩემპიონთა ლიგა დაბრუნდა. ქალაქში საფეხბურთო სუნი იგრძნობოდა, მაგრამ სტადიონი ბოლომდე მაინც არ შეივსო. არც მატჩი გამოდგა სანახაობრივი, მაგრამ დაძაბულობით ნამდვილად გამოირჩეოდა, ხოლო ის 7.000 მაყურებელი, ვინც მივიდა, გულდაწყვეტილი ნამდვილად არ დარჩებოდა. 16 წლის შემდეგ ტორპედომ ევროთასებზე პირველი გამარჯვება მოიპოვა.

ამასთან, მეტოქე ხელწამოსაკრავი სულაც არ ყოფილა – მოლდოვის ჩემპიონი გასულ სეზონში ევროპა ლიგის ჯგუფში მოხვდა, ის საშუალო ევროპულ გუნდებთან კარგად იასპარეზა და რიონისპირელებთან შეხვედრაში ფავორიტად ითვლებოდა.

მატჩი ორივე გუნდმა ფრთხილად დაიწყო. ოდნავ უფრო მეტად სტუმრები აქტიურობდნენ, მაგრამ გოლის გატანის შანსი ქუთათურებს მიეცათ, როდესაც ცინცაძის პასით, კუტალია მეკარესთან პირისპირ დარჩა, თუმცა, სიჩქარე შეანელა. შემდეგ პასი გააკეთა კუხიანიძეზე, რომელსაც კარში დარტყმა აღარ აცადეს.

საპასუხოდ სტუმრებმა ძალიან მარტივი კომბინაცია გაგვითამაშეს – დაცვა ჩავარდა და ბურთი ტორპედოს კარში აღმოჩნდა – 0:1.

გოლის შემდეგ თამაში მშვიდ, პოზიციურ ბრძოლაში გაგრძელდა და მომდევნო გოლი მოლდოველთა შეცდომის შემდეგ გავიდა – შერიფის დაცვამ შეუთანხმებლად ითამაშა და ქიმაძემ სტუმრები დასაჯა.

მალევე გოლის გატანა აზაცკის შეეძლო, მაგრამ სტანდარტის შემდეგ თავით ოდნავ ააცილა მოლდოველთა კარს. დაახლოებით მსგავსი მომენტი შეექმნა კობახიძეს, მაგრამ არც მისი დარტყმული წავიდა კარში.

შერიფს უკეთესი მომენტი ჰქონდა: ბადიბანგას გამჭოლი პასი ძელთან ვერ ჩაკეტა კამარამ. კიდევ ერთი მომენტი გერსონს ჰქონდა, როდესაც მცველების მიერ ცუდად ამოტანილი ბურთი კარისკენ გაგზავნა, მაგრამ მიზანმა სტუმარსაც უმტყუნა.

მთლიანობაში, პირველმა ტაიმმა სტუმართა მცირე ტერიტორიული უპირატესობით ჩაიარა, მაგრამ ტორპედოს მომენტები მეტი ჰქონდა.

მეორე ტაიმიც ფრთხილად დაიწყეს გუნდებმა. შეუთამაშებელ ტორპედოსთან არც შერიფი ჰგავდა შარშანდელ ჯგუფურ ეტაპზე მოთამაშე გუნდს. ისე ჩანდა, რომ ორივე გუნდი მეტოქის შეცდომას ელოდა და ასეც მოხდა: შერიფის მცველმა მეკარეს დაუბრუნა ბურთი, მაგრამ ძალა არ ეყო და ქიმაძემ ჩაჭრა, მეკარესთან პირისპირ გასული კი მიკულიჩმა წააქცია – მსაჯმაც პენალტი დანიშნა. 11 მეტრიდან ზუსტად დაჰკრა კუხიანიძემ – 2:1.

დაწინაურებული ტორპედო უფრო მეორე ნომრად თამაშობდა და მშვიდად ცდილობდა კონტრშეტევებზე მეტოქის დაჭერას, შერიფი კი შორიდან დარტყმებით ცდილობდა გატანას, რასაც კვასხვაძე დიდად არ შეუწუხებია. მეტიც, ტორპედოს ჰქონდა შანსი, როდესაც კუხიანიძის დარტყმული მიკულიჩმა მოიგერია.

სულ ბოლოს ტორპედოს საჯარიმოში არეულობა შეიქმნა, მაგრამ ვერც შერიფის ფეხბურთელები გაერკვნენ სიტუაციაში და მცველებმა შეძლეს ბურთის მოგერიება.

მატჩის მიმდინარეობიდან გამომდინარე, ტორპედომ ლოგიკურად გაიმარჯვა...

გორან საბლიჩი:

– კარგი შეხვედრა გამოვიდა, ჩვენ ვახერხებდით გაგვეკონტროლებინა თამაში და შეგვექმნა მომენტები, თუმცა დაგვირგვინებას ვერ ვახერხებდით. დავუშვით ინდივიდუალური შეცდომები, რაც მეტოქემ არ გვაპატია. მოხარული ვარ, რომ ჩვენი გუნდი მეორე ტაიმში კარგად გამოიყურებოდა და აქტიური იყო. გვქონდა რამდენიმე მნიშვნელოვანი მომენტი და ვიმედოვნებ, რომ მეორე შეხვედრას უკეთესად ჩავატარებთ და შემდეგ ეტაპზე გავალთ.

მეტოქეც კარგად უნდა დავახასიათო. თუმცა, ჩვენ შეგვიძლია უკეთესი შედეგის დადება და ამას გავაკეთებთ!

კახა ჩხეტიანი:

– გავიმარჯვეთ, რაც ძალიან სასიხარულოა. წინ ძალიან რთული მატჩი გველოდება, არანაკლები რაც დღეს იყო. ვუყურებთ თამაშს, რაღაცები გამოსასწორებელი გვაქვს და შევეცდებით, უფრო შეთამაშდეს გუნდი. მინდა მადლობა ვუთხრა გულშემატკივარს გვერდში დგომისთვის და შევეცდებით ისინი უფრო მეტად გავახაროთ. ეს გამარჯვება მხოლოდ ჩვენი არ არის, ეს საქართველოს გამარჯვებაცაა. ბევრი ფეხბურთელი ოპტიმალურ ფორმაში არ იმყოფება, განსაკუთრებით ის ფეხბურთელები, რომლებიც ახლა შემოგვიერთდნენ და მეორე ტაიმში ფიზიკურად ისე ვერ გამოიყურებოდნენ, როგორც საჭირო იყო. მიმდინარეობს გუნდის გაძლიერებაზე მოლაპარაკებები, შეიძლება შემდეგი შეხვედრისთვის თავდამსხმელის დამატებაც მოესწროს.

სამტრედიამ ბოლო წამზე წააგო

სამტრედია (საქართველო)-ტობოლი (ყაზახეთი) 0:1

0:1 ფედინი (90)

სამტრედია: პოგორილი, გურული, მამასახლისი, გი, მაქაცარია, ბაჩიაშვილი, ფანცულაია (კუჭუხიძე 72), ჩაჩუა (კერძევაძე 86), ფატიჩი, გოგიაშვილი, ენდელაძე (ახალაძე 76)

ტობოლი: ნეპოგოდოვი, კასაი, მიროშნინჩეკო, დმიტრენკო, კვეკვესკირი, ნურგალიევი, ტურისბეკი (მოლდაკორაევი 79), კანკავა, ზულპა, ნუსერბაიევი (ზარინბეტოვი 87), ფედინი

უეფას ევროპა ლიგის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ შეხვედრაში სამტრედიამ ყაზახურ ტობოლს უმასპინძლა და მატჩის საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წამით ადრე მაქსიმ ფედინის გოლით დამარცხდა.

არადა, იმერლებს წაგების არაფერი ეტყობოდათ, რაც კიდევ უფრო იმით იყო გასაკვირი, რომ გუნდის დაკომპლექტება ახალი ფეხბურთელებით ტობოლის თამაშამდე 20 საათით ადრე დასრულდა. ცხადია, ეს ფაქტორი მნიშვნელოვანი იქნებოდა, რადგან გუნდს სჭირდება შეთამაშება, მით უფრო, როდესაც ასეთ დონეზე თამაშობ. ამ ყველაფერმა ბოლოს იჩინა თავი...

მატჩი სამტრედიელებმა აქტიურად დაიწყეს და საწყის წუთებში მეტოქის კართან რამდენიმე სახიფათო მომენტიც შექმნეს. განსაკუთრებით, მაქაცარიას მომენტი უნდა გამოვარჩიოთ, რომელიც ენდელაძეს პასის შემდეგ, ყაზახთა კარს დაემუქრა, მაგრამ მისმა დარტყმამ მიზანს ვერ უწია. მასპინძელთა საწყისი აქტიურობის შემდეგ ვლადიმირ ნიკიტენკოს ფეხბურთელებმა შეძლეს თამაშის მეტოქის ნახევარზე გადატანა. პირველ ტაიმში ტობოლის ქართველი ლეგიონერის ჯაბა კანკავას დარტყმა უნდა გამოვარჩიოთ, რომელიც სერგეი პოგორილმა მოიგერია და თავისი გუნდი აშკარა გოლისგან იხსნა.

მეორე ნახევარში ორივე გუნდმა შედარებით პრაგმატულ, ფრთხილ ფეხბურთზე გააკეთა აქცენტი და ისინი ზედმეტი რისკის გარეშე თამაშობდნენ. ტობოლის შეტევები თანდათან უფრო სახიფათო ხდებოდა, მაგრამ რეალურ საგოლე მომენტამდე საქმე არ მისულა. თითქოს, ყველაფერი გადაწყვეტილი იყო და მატჩში აღარაფერი უნდა მომხდარიყო, მაგრამ მატჩის საფინალო სასტვენამდე რამდენიმე წამით ადრე მაქსიმ ფედინის შორეული დარტყმა სერგეი პოგორილისთვის აუღებელი აღმოჩნდა.

ვლადიმირ ნიკიტენკო:

– პრინციპში, რასაც ველოდით, ის მოხდა. სიურპრიზი ის იყო, რომ 4 ივლისს, ჩემპიონატის ბოლო ტურში, ერთი გუნდი თამაშობდა, ჩვენთან კი, სხვა 5-6 ახალი ფეხბურთელი ჰყავდათ. ამიტომ გარკვეული სიძნელეები იყო. ასეთ დაძაბულ მატჩს არ ველოდით. ჩემის აზრით, ჯერ არაფერი არაა გადაწყვეტილი და ყველაფერი კუსტანაიში გადაწყდება. დიახ, სტუმრად გავიმარჯვეთ და ახლა უპირატესობა გვაქვს. ეს გუნდი ქართულ ფეხბურთს თამაშობს, ტექნიკურს და შემდეგ ეტაპზე გასასვლელად მაქსიმალური ძალისხმევა დაგვჭირდება.

გია ცეცაძე:

– ამ წაგების მიზეზი, ალბათ, ისაა, რომ 4 დღის შეკრებილი გუნდი გვყავს და პლუს, ძალაში გვაჯობეს. ჩვენი მეტოქე ფიზიკურად ძალიან კარგად იყო მომზადებული. ტობოლს ჩემი ქება ნამდვილად არ სჭირდება და ძალიან კარგი გუნდია. რომ არ წაგვეგო, კარგი იქნებოდა, მაგრამ რეალობა ესაა. გასვლის შანსები? არ ვიცი, ჩავალთ და ვითამაშებთ. უბრალოდ, უფრო მეტი დრო არის მომდევნო მატჩამდე დარჩენილი. ბიჭები დასვენებასაც მოასწრებენ და ალბათ, ერთი ნაბიჯით წინ წავიწევთ. როგორც პირველი ტაიმი ვითამაშეთ ისე, რომ შეგვეძლოს ტობოლის დონის გუნდებთან ორი ტაიმის თამაში, გასვლის შანსებზე მართლა ვილაპარაკებდი.

კრიშტიანუ რონალდუ: „მზად ვარ ახალი გამოწვევებისთვის“

იუვენტუსის ახალმა ვარსკვლავმა კრიშტიანუ რონალდუმ რეალიდან წასვლის მიზეზებზე ისაუბრა და თქვა, რომ მას ახალი გამოწვევები სჭირდებოდა და იუვენტუსში სწორედ ამ მიზეზის გამო გადავიდა.

– რეალში ძალიან კარგი 9 წელიწადი გავატარე და ამ გუნდში უბედნიერესი ვიყავი. ამ ხნის განმავლობაში ყველა ტიტული მოვიგე და მივხვდი, რომ ახალი გამოწვევა მჭირდებოდა. იუვენტუსში თამაში ჩემთვის დიდი გამოწვევაა და ამ მომენტს მოუთმენლად ველი, – განაცხადა რონალდუმ.

იუვენტუსმა პორტუგალიელი ვარსკვლავის ტრანსფერში 105 მილიონი ევრო გადაიხადა, ხოლო რონალდუს წლიური ანაზღაურება 30 მილიონი ევრო იქნება.

ლივერპული პაოლო დიბალაში 90 მილიონს იხდის

ლივერპული მზად არის, პაოლო დიბალას ტრანსფერში 90 მილიონი ევრო გადაიხადოს. იუვენტუსმა კრიშტიანუ რონალდუ იყიდა და შესაძლოა ტურინელებმა რამდენიმე ფეხბურთელი გაუშვან, რადგან რონალდუს შენახვა მათ ძალიან ძვირი დაუჯდებათ. დიბალას ტრანსფერზე იუვენტუსის ხელმძღვანელობა ჯერჯერობით კომენტარს არ აკეთებს, თუმცა დიბალას გაყიდვა იუვენტუსის გეგმებში არ შედიოდა, ამიტომ ლივერპულს, სავარაუდოდ, უფრო მეტის გადახდა მოუწევს.

დიბალა იუვენტუსში 2015 წელს გადავიდა და მას შემდეგ ის გუნდის ერთ-ერთი მთავარი ლიდერია.

რიად მარეზი კარიერას მანჩესტერ სიტიში გააგრძელებს

ლესტერის ერთ-ერთი ლიდერი, რიად მარეზი, კარიერას მანჩესტერ სიტიში გააგრძელებს. ეს ტრანსფერი უკვე ოფიციალურად განხორციელდა და მარეზი უკვე მანჩესტერშია, სადაც ის უახლოეს დღეებში კონტრაქტზე ხელს მოაწერს.

მარეზი სიტიში 4 წელიწადს ითამაშებს და მანჩესტერელებს მისი ტრანსფერი 60 მილიონი ევრო დაუჯდათ.

მარეზი უკვე იანვარში აპირებდა მანჩესტერ სიტიში წასვლას, მაგრამ მაშინ ის ლესტერმა არ გაუშვა. ამჯერად მარეზმა თავისი ოცნება აისრულა და მანჩესტერ სიტის ფეხბურთელი გახდა.

დელ პიერო რონალდუს ტრანსფერს გამოეხმაურა

იუვენტუსის ლეგენდა ალესანდრო დელ პიერომ კრიშტიანუ რონალდუს ტრანსფერზე ისაუბრა და თქვა, რომ რონალდუს გადასვლა იუვენტუსში მთლიანად იტალიის ჩემპიონატს გააძლიერებს.

დელ პიერომ ასევე აღნიშნა, რომ რონალდუსთან ერთად სიამოვნებით ითამაშებდა:

– კრიშტიანუ უნიკალური ფეხბურთელია და მის გვერდით თამაში ჩემთვის დიდი სიამოვნება იქნებოდა, მაგრამ ეს შეუძლებელია. ვფიქრობ, რონალდუს ტრანსფერი იტალიური ფეხბურთისთვის ძალიან კარგი იქნება, რადგან მისი დონის ფეხბურთელი იტალიის ჩემპიონატს გააძლიერებს.

ადრიან რაბიო, შესაძლოა, ბარსელონაში გადავიდეს

პსჟ-ს ნახევარმცველი, ადრიან რაბიო, შესაძლოა, სულ მალე ბარსელონის ფეხბურთელი გახდეს. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, რაბიო უკვე შეუთანხმდა ბარსელონას და ახლა ჯერი უკვე გუნდებზეა.

პსჟ არ არის წინააღმდეგი რაბიოს გაყიდვის, მაგრამ, სავარაუდოდ, სატრანსფერო ფასი მაღალი იქნება. ბარსელონის სპორტული დირექტორი ერიკ აბიდალი ამ დღეებში პარიზში ჩაფრინდება, სადაც ფეხბურთელს პირადად მოელაპარაკება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

პაკისტანელი სტუდენტი წყლის შიშის დაძლევის სურვილს ემსხვერპლა



სტუდენტი პაკისტანის ქალაქ კარაჩიდან შეეცადა ეჩვენებინა, რომ წყლის არ ეშინია, ჩქარ მდინარეში ჩავარდა და დაიხრჩო.

19 წლის შერაზ ხან მდინარე სვატის ნაპირთან თავის ბიძაშვილ იასინთან და ბიძასთან ერთად ისვენებდა. ის მთელი მგზავრობის მანძილზე ცდილობდა ნაპირისგან მოშორებით ყოფილიყო და არც ბიძაშვილს უშვებდა ახლოს. ამის გამო ის მას დასცინოდა: „გეშინია! კაცი არ ხარ!“

– როდესაც უკვე გამგზავრებას ვაპირებდით, შერაზმა ვიდეოს გადაღება მთხოვა, თუ როგორ მიდიოდა მდინარესთან და რომ მისი არ ეშინოდა, – განმარტა იასინმა. ბიძაშვილის თვალწინ შერაზი მდინარის ნაპირთან მივიდა, ამ დროს სველ ქვაზე ფეხი დაუცდა და წყალში ჩავარდა. სწრაფმა დინებამ ის მაშინვე გაიტაცა.

ბიძამ, რომელიც იმ მომენტში სასტუმროში იმყოფებოდა ფულის გადასახდელად, იასინის ყვირილის ხმა გაიგონა და მაშინვე მდინარისკენ გაიქცა. ნაპირთან უამრავმა ადამიანმა მოიყარა თავი, ისინი ხედავდნენ, რომ შერაზი სწრაფ დინებაში იხრჩობოდა, მაგრამ მის დახმარებას ვერ ახერხებდნენ. როდესაც ათი წუთის შემდეგ შემთხვევის ადგილზე მივიდნენ მაშველები, ახალგაზრდა უკვე დაღუპული იყო.

დაღუპული ახალგაზრდის სხეულის მდინარიდან ამოტანა მხოლოდ ქალაქ მინგორის რაიონში მოხერხდა, რომელიც შემთხვევის ადგილიდან 50 კილომეტრში მდებარეობს.

ჰოლანდიის მუზეუმიდან საშიში შხამი მოიპარეს



სიცოცხლისთვის საშიში შხამით სავსე ბოთლი მოიპარეს ჰოლანდიის მუზეუმიდან. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი გამოცემა ავრცელებს.

შხამი, რომელიც შავი კუბიკის სახით იყო დაპრესილი, ბოთლში იდო, რომელიც სეიფში იყო შენახული. ის რამდენიმე დღის წინ მოიპარეს. ბოთლზე მიკრული იყო ძველისძველი ეტიკეტი წარწერით „კურარე“. მუზეუმიდან სხვა რაიმე ნივთიც მოიპარეს თუ არა, ჯერჯერობით უცნობია.

– ჩვენ გამოძიებას ვაგრძელებთ... პირველ რიგში გვინდა შხამი ვიპოვოთ, – აღნიშნა პოლიციის წარმომადგენელმა.

კურარე – რამდენიმე სახის მცენარეული წარმოშობის შხამის საერთო სახელწოდებაა. ის ორგანიზმის პარალიზებას ახდენს, ხოლო მეტისმეტად დიდი რაოდენობის მიღების შემთხვევაში, გაგუდვის შედეგად სიკვდილს იწვევს. სამხრეთ ამერიკის მკვიდრი მოსახლეობა ასეთ ნივთიერებას ნადირობის დროს იყენებდა. მას ისრის წვერზე უსვამდნენ.

ლომებმა მარტორქებზე მონადირეები დაგლიჯეს

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ნაკრძალ სიბაიაში ლომებმა ერთი ან რამდენიმე ბრაკონიერი დაგლიჯეს, რომლებიც მარტორქების რქებზე ნადირობდნენ. ამ ინფორმაციას ნაკრძალის მფლობელი ნიკს ფოქსი ფეისბუქში ავრცელებს.

მან აღნიშნა, რომ ადამიანების ჯგუფმა, რომელშიც, როგორც მინიმუმ, სამი ადამიანი შედიოდა, ნაკრძალის ტერიტორიაზე შეაღწია. ისინი შეიარაღებულები იყვნენ, მათ თან ჰქონდათ რამდენიმე დღისთვის სამყოფი საკვებისა და წყლის მარაგი. ფოქსის აზრით, ეს ყოველივე იმაზე მიუთითებდა, რომ მათ მიზანს რქის გულისთვის მარტორქების დახოცვა წარმოადგენდა.

დილით ადრე ნაკრძალის თანამშრომელს მოდარაჯე ძაღლის ყეფის ხმა და იმ ადგილიდან, სადაც ლომები ბინადრობენ, ხმაური შემოესმა. მას ამისთვის ყურადღება არ მიუქცევია, ვინაიდან ჩათვალა, რომ ძაღლმა ყეფა მტაცებლების გამო ატეხა. თუმცა დღისით ერთ-ერთმა გიდმა ბრაკონიერობასთან ბრძოლის განყოფილებას აცნობა, რომ ლომების სიახლოვეს ადამიანების სხეულის ნარჩენები და სხვა ნივთები შენიშნა.

შესაძლოა ბრაკონიერები იმ ტერიტორიაზე აღმოჩნდნენ, სადაც ლომები ბინადრობდნენ, რის შემდეგაც ზოგიერთი ბრაკონიერი, ან შესაძლოა ყველა, ლომებმა დახოცეს და შეჭამეს. მომხდარის გამოსაძიებლად პოლიცია იქნა გამოძახებული.

– ამ მომენტისთვის უცნობია, ზუსტად რამდენი ბრაკონიერია დაღუპული, მაგრამ პოლიცია მუშაობას აგრძელებს, – აღნიშნა ფოქსმა.

ბრაზილიელმა მეცხრე სართულიდან გადმოვარდნილი ძაღლი დაიჭირა

ბრაზილიის სან-პაულუს შტატის ქალაქ რიბეირან-პრეტუს მცხოვრებმა დაიჭირა ძაღლი, რომელიც მრავალსართულიანი სახლის მეცხრე სართულიდან გადმოვარდა.

ჟოაო აუგუსტო სახლში მიდიოდა, როდესაც შენიშნა, რომ მეცხრე სართულის აივნის კიდეზე მეზობლის ში-ტცუ იმყოფებოდა და იქ თავის შემაგრებას ცდილობდა. მან შენობის ზედამხედველს დაუძახა, რომ სასწრაფოდ ზეწარი ან დიდი პირსახოცი ქვევით გასაჭიმად მიეტანა, მაგრამ უკვე დაგვიანებული იყო, ძაღლს ფეხი დაუცდა და ქვევით გადმოეშვა.

მამაკაცმა ხელები გაიწოდა და ძაღლის დაჭერა მოასწრო. ცხოველი არ დაშავებულა და მაშინვე გაიქცა.

– ვფიქრობ, მე საჭირო დროს საჭირო ადგილზე აღმოვჩნდი, – განაცხადა ბრაზილიელმა. ამ შემთხვევის შემდეგ ძაღლის პატრონმა აივანზე ბადის დაყენება გადაწყვიტა.

ში-ტცუს ჯიშის ძაღლების წონა 4,5-დან 8 კილოგრამამდე მერყეობს, ხოლო მათი სიმაღლე 27 სანტიმეტრს არ აღემატება.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

12 ივლისისთვის

ვერძი – მხოლოდ საკუთარი თავის იმედი იქონიეთ. ნუ ელით დახმარებას გარეშე პირებისგან. ფინანსებს გაუფრთხილდით. **კურო** – იღბლიანი დღეა. შრომის ნაყოფიერება საკმაოდ იზრდება. საქმე გულდასმით და აუჩქარებლად აკეთეთ. **ტყუპები** – ჰარმონიული დღეა. დაწყებულ საქმეს შუა გზაზე ნუ მიატოვებთ. შანსი გეძლევათ, კონტაქტი დაამყაროთ საჭირო ადამიანებთან. **კირჩხიბი** – დღეს მხოლოდ აუცილებელი ნივთი შეიძინეთ. ერიდეთ ფულის უაზრო ხარჯვას. მოსალოდნელია მცირე გაუგებრობა გარშემომყოფებთან. **ლომი** – ნუ იაქტიურებთ. აუჩქარებლად და თავდაჯერებულად იმოქმედეთ. ეს განსაკუთრებით პროფესიონალურ სფეროს ეხება. **ქალწული** – ახალი ნაცნობობა, საინტერესო ადამიანებთან შეხვედრები გაგახარებთ და ოპტიმიზმს შეგმატებთ. გელით გაუთვალისწინებელი ხარჯები. **სასწორი** – კეთილისმყოფელი დღეა. ფიზიკური დატვირთვა, ფეხით სიარული ან ბაღში მუშაობა ფსიქოემოციურ მდგომარეობას გამოგიკეთებთ. **ღრიანკალი** – საოჯახო პრობლემები გიგროვდებათ. ეს დღე თქვენგან სიმამაცეს მოითხოვს. **მშვილდოსანი** – ნურავის მისცემთ ნებას, თავისი გავლენის ქვეშ მოგაქციოთ. სიტუაცია შესაძლოა თქვენ სასარგებლოდ შეიცვალოს. **თხის რქა** – სამოგზაუროდ წასვლას თუ გადაწყვეტთ, კმაყოფილი დარჩებით. ახალი შთაბეჭდილებები დადებითად წაგადგებათ. **მერწყული** – ერიდეთ კონფლიქტურ და ნერვულ ადამიანებთან საქმის გარჩევებს. შესაძლოა კომპრომისზე წასვლა მოგიხდეთ. **თევზები** – საკმაოდ რთული დღეა. მრავალი წინააღმდეგობის გადალახვა მოგიწევთ, თუმცა ბედი გწყალობთ.

გისუხვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ველური ვაზი; 2. ესპანური დილის სერენადა; 3. პირი, რომელიც განაგებს გემების დატვირთვა-გადმოტვირთვას ნავსადგურში; 4. არქტიკის მკვლევარი ნორვეგიელი საზოგადო მოღვაწე, ნობელის პრემიის ლაურეატი; 5. მანათობელი მწერი; 10. ბრაზილიური არაყი; 11. ქართული ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი; 12. „ვეფხისტყაოსნის“ პერსონაჟი; 13. ბავშვთა გასართობი ცენტრი მთაწმინდაზე; 16. მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ატლანტის აეროპორტი; 17. პოლონური სამეჯლისო ცეკვა; 19. სახელმწიფო ევროპაში; 21. გასართობ-სანახაობითი დაწესებულება; 23. სპორტული ინვენტარის მწარმოებელი ამერიკული ფირმა.

თარაზულად: 6. პირველყოფილი ადამიანი, რომელიც გამოქვაბულში ცხოვრობდა; 7. ქიმიური ინდიკატორი; 8. სამკაულების დასამზადებლად გამოყენებული ფისიანი ქვანახშირი; 9. ჩინური ნავთობკომპანია; 14. პოპულარული ირლანდიური ჯინი; 15. სერბი კინორეჟისორი; 18. აშშ-ის ვიცეპრეზიდენტი; 20. სახალხო მთქმელი, მომღერალი, პოეტი უკრაინაში; 22. ისტორიული მოედანი პარიზში; 24. თვალის დაავადება, ახლომხედველობა; 25. ძვირფას ქვებზე მხატვრულად კვეთის ხელოვნება; 26. წყლით სამკურნალო აბაზანა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. რენუარი; 2. ემბრიონი; 3. ანოფელესი; 4. ჰორაციო; 5. მიტელშპილი; 10. ჰამერი; 11. კუროსავა; 12. ბოცმანი; 13. ოკლუზია; 16. შარლატანი; 17. კარავაჯო; 19. ასპარუხი; 21. კანტი; 23. ტუნგი.

თარაზულად: 6. „დეკამერონი“; 7. კოფეინი; 8. გრაცია; 9. დემენცია; 14. სკრეპერი; 15. პაციფისტი; 18. ლავრა; 20. ლაშქარი; 22. კატრანი; 24. „ხარება“; 25. მალაქიტი; 26. „ელგუჯა“.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. „ბუდვაიზერი“; 2. კაბურა; 3. ტავერნა; 4. რაცია; 5. ფასკუნჯი; 6. დიქტი; 7. ჰამსუნი; 9. მადერა; 13. რუბლი; 17. ნუგა; 18. არა.

თარაზულად: 1. ბამბუკი; 3. ტაბორი; 8. „კადიმა“; 10. გურიელი; 11. „მაზდა“; 12. ხარფუხი; 14. იზორია; 15. სტატუსი; 16. ჯანღი; 19. ფელახი; 20. ვისკოზა; 21. ბურახი.

ალექსანდრე ელოშვილი: „მე არ მრცხვენია ქართველობის“

მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი ალექსანდრე ელოშვილი აცხადებს, რომ, ქართველების მიერ ჩადენილი არაერთი ცუდი საქციელის მიუხედავად, მას ქართველობის არ რცხვენია:

– მე არ მრცხვენია ქართველობის...

რამდენ ცუდ ქართველსაც ჩამომითვლით, იქვე ორ კარგს თუ ვერ გეტყვით იმავე ჟანრიდან, მაშინ დაგეთანხმებით...

აგერ ამ მწყემსის საპასუხოდ გეტყვით:

პროფესორი ჟორდანია – რიო დე ჟანეიროდან რომ მოფრინავდა და თავისი სამაშველო რგოლი ახალგაზრდა ორსულ ქალს რომ დაუთმო...

და

მამა ილია კარტოზია, 2 თუ 3 წლის წინ იტალიაში გემზე სხვა რომ გადაარჩინა და თვითონ დაიღუპა...

მოკლედ, არ გინდათ ეს ქართველობის გვრცხვენია...

ხომ ბევრჯერ მითქვამს თომას მანის სიტყვები, როდესაც ჰიტლერის გამო მას სთხოვდნენ პასუხს, რას შვრება შენი გერმანიაო?!

პასუხი იყო მარტივი – გერმანია არის იქ, სადაც მე ვარ!

ასე რომ, საქართველოც ისაა, სადაც თქვენ ხართ და რასაც თქვენ აკეთებთ... ისაა საქართველოც!

ლადო ბურდული: „ნაღდი შემოქმედება შეცვალეთ ძლიერი ნარკოტიკებით“

მომღერალი ლადო ბურდული ხელოვანებს მიმართავს და, თავისი აშენებული სცენის დათმობის მიუხედავად, მისი ღანძღვით გაკვირვებულია:

– გავიდა ამდენი ხანი, ბოლომდე გამოვიწიე და დაგითმეთ ეს ჩემი აშენებული სცენაც და, აი, დღეს უკვე მინდა შეგეკითხოთ, ჩემო მლანძღველო თაობებო, პროფესიად რომ გქონდათ ქცეული ჩემი სიძულვილი, რა შექმენით ამდენი ხნის მანძილზე, რა ააშენეთ იმაზე მეტი, ვიდრე ეს მე თქვენ შეგიქმენით ასე უსასყიდლოდ, ალალი გულით და სუფთა ხელებით და ასე უანგაროდ. რა შექმენით ამაზე მეტი ან თუნდაც ამის მაგვარი?

ვერაფერი ხო..

თან დღევანდელ უვიზო საქართველოში ინფორმაციულ ოაზისში და გამარტივებული ტექნოლოგიების ეპოქაში...

სულ ეს ხართ?
როკი – ვან თუ ფრი ფორ
დიჯეები – კი მარიოს თამაში უმცა უმცა ფონზე
ნაღდი შემოქმედება შეცვალეთ ძლიერი ნარკოტიკებით
და ნაღდი სიყვარული კი რადიკალური გარყვნილებით
რაც იყავით ჩემამდე
ის დარჩებით ჩემ შემდეგაც

მე უბრალოდ შეცდომა ვიყავი თქვენს რეალობაში და მართლა გულით შევეცადე, რაღაც შემეცვალა თქვენს ცხოვრებაში უკეთესობისკენ

აი, სულ ეს იყო, არც მეტი, არც ნაკლები
და ვიღაცებისთვის მართლაც შევცვალე!

ირაკლი მაქაცარია ახალგაზრდა რეჟისორის გადასარჩენად ქველმოქმედებაში ჩაერთო

„პრაიმ შოუს“ წამყვანი ირაკლი მაქაცარია ახალგაზრდა უკრაინელი რეჟისორის მარინა გრიშაის სიცოცხლის გადასარჩენად ქველმოქმედებაში ჩაერთო.

ნებისმიერ მსურველს შეუძლია ირაკლისთან ერთი ერთზე ყავა მიირთვას. შეხვედრის საწყისი ფასი 2000 გრივნაა. შეხვედრა შედგება იმ ადამიანთან, რომელიც ყველაზე მეტ თანხას გადაიხდის.

ირაკლი მაქაცარია მასთან ყავის მირთმევის მსურველს კიევში ან თბილისში შეხვდება და გადახდილი თანხა მთლიანად უკრაინელ რეჟისორს მოხმარდება, რომელიც სიმსივნეს ებრძვის.

ირმა ნიორაძემ 14 წლის ილია ხატიაშვილის დასახმარებლად თანხა გაიღო

ბალერინა ირმა ნიორაძემ დედოფლისწყაროში მცხოვრები 14 წლის ილია ხატიაშვილის დასახმარებლად 1400 ლარი ლიტერატორ თამაზ ტყემალაძის ანგარიშზე გადარიცხა. გადაწყვეტილება მოცეკვავემ მეუღლესთან ერთად მას შემდეგ მიიღო, რაც თამაზ ტყემალაძემ გადაცემა „პოსტ სკრიპტუმში“ ნანახი სიუჟეტის შემდეგ დედოფლისწყაროელი 14 წლის ილია ხატიაშვილის დახმარება გადაწყვიტა და ბანკში ანგარიში გახსნა. ბიჭი დავრდომილ პაპასა და დედას უვლის. ჰყავს 11 წლის ძმა. ოცნებობს, რომ ჰყავდეს ძროხა. ქირაზე მუშაობს და სკოლაში აღარ დადის. სპორტსაც თავი დაანება, სადაც წარმატებებს აღწევდა.

თამაზ ტყემალაძე:

– გოჩა ჩხაიძემ და ირმა ნიორაძემ მოგვწერეს, ძროხას ჩვენ ვუყიდითო... ღმერთი ყველაფერს ხედავს... ჩვენ ოჯახს მივხედავთ... ილიას დავაბრუნებთ სკოლაში, სპორტულ დარბაზში და დავუბრუნებთ რწმენას, რომ მარტო არაა, გავუხარებთ გულს საბრალო პაპასა და დედას... პატარა ძმას... როგორ მიხარია.

ირმა ნიორაძემ და გოჩა ჩხაიძემ ჩვენს ანგარიშზე შეიტანეს 1400 ლარი.

პეტრეპავლობის დღესასწაულზე 54-ე საჯარო ნათლობა გაიმართება

12 ივლისს პეტრეპავლობის დღესასწაულზე სამების ტაძარში რიგით 54-ე საჯარო ნათლობა გაიმართება.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე ყველა ჯვარდაწერილი ოჯახის მესამე და მომდევნო შვილს მონათლავს.

მისი უწმინდესობის ნათლულებს გადაეცემათ ნათლობის ჯვარი, სანთელი და ახალი აღთქმა.

ილია მეორე ამ ინიციატივით 10 წლის წინ საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით გამოვიდა და განაცხადა, რომ მზად იყო, ჯვარდაწერილი ოჯახების მესამე და მომდევნო შვილები მოენათლა. ნათლისღების დღესასწაულზე გაჟღერებულ სიახლეს საქართველოში დიდი გამოხმაურება მოჰყვა და მის უწმინდესობას უკვე 35 ათასზე მეტი ნათლული ჰყავს.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

კალეიდოსკოპი

ფილიპინელმა ტარაკანა ელექტროსკამზე დასვა

ფილიპინების ქალაქ პასინგის მცხოვრებმა მოქანდაკემ გაბრიელ ტუაზონმა მინიატურული ელექტროსკამი დაამზადა და მასზე ტარაკანა დასვა.

ხელოვანი ამტკიცებს, რომ მწერი მასთან ღია ფანჯრიდან შევიდა, როდესაც ის სახლის განიავებას ცდილობდა.

– ყველაფერი მაშინ დაიწყო, როდესაც ტარაკანა ჩემ ოთახში აღმოჩნდა, – განაცხადა ტუაზონმა, – მისთვის რაიმე უნდა მომეხერხებინა, ჩამეცხო, მაგრამ ამ იდეამ ჩემში ზიზღი გამოიწვია, ვინაიდან მაშინ შესაძლოა, ჩემი სამუშაო მაგიდა დასვრილიყო.

ტუაზონმა მწერი დაიჭირა და გადაწყვიტა მისთვის მინიატურული ელექტროსკამი დაემზადებინა. ამის გასაკეთებლად მას დაახლოებით ორი საათი დასჭირდა. მან მოწყობილობას ელემენტები და ნათურა შეუერთა, ტარაკანა სკამზე მოათავსა და „სიკვდილით დასჯა“ ვიდეოზე გადაიღო.

– ის ჩემ ბინაში არ უნდა შემოსულიყო, – განაცხადა მოქანდაკემ.

გამყიდველმა ქალმა შეიარაღებული მძარცველი პირსახოცით შეაშინა

ჩინეთში მაღაზიის გამყიდველმა დანით შეიარაღებული მძარცველი ჩვეულებრივი პირსახოცით შეაშინა.

მამაკაცმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს ცხარე საჭმელების შეკვრასა და რძის პატარა ბოთლს ყიდულობდა, საერთო ჯამში, 10 იუანის ღირებულების, შემდეგ კი გამყიდველს დანით დაემუქრა.

სათვალთვალო კამერის ვიდეოჩანაწერში ჩანს, რომ ამ ფაქტმა ქალი არათუ შეაშინა, არამედ მძარცველს უთხრა, რომ ის ვერაფერს მიიღებდა და მოსთხოვა, ყველაფერი თავის ადგილზე დაებრუნებინა. მან მძარცველს ცხვირწინ პირსახოცის ფრიალი დაუწყო და ამის შედეგად ქურდი გააქცია. ქალი გაქცეულს გაეკიდა და გამვლელის დახმარებით დაიჭირა.

მძარცველი პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს, ხოლო ნაქურდალი მაღაზიას დაუბრუნეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სამგლოვიარო განცხადებები

ფაზისის საერო-სამეცნიერო აკადემია, აკადემია „ქალდეა და ქართველთა და აფხაზთა შერიგების კავშირი „დიოსკურია-2005“ ღრმა მწუხარებას გამოთქვამს და თანაუგრძნობს ამავე აკადემიისა და კავშირის წევრს ზვიად ვაჟას ძე თოლორაიას, მის დებს მაკასა და იზა თოლორაიებს, დისშვილებს ირაკლისა და დათა ფარცვანიებს, მის მეუღლესა და შვილებს, ჯენეტი სერგოს ასულ წურწუმია-თოლორაიას, ლიზიკო და ივიკო თოლორაიებს, მამის, მამამთილისა და ბაბუის, სოფლის მეურნეობის ღვაწლმოსილი მუშაკის, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლორიტი პიროვნების

ვაჟა ივანეს ძე თოლორაიას

გარდაცვალების გამო. ჩვენ ყველანი ერთად ვგლოვობთ ღირსეული მამულიშვილის ვაჟა ივანეს ძე თოლორაიას გარდაცვალებას და პატივს მივაგებთ მის ნათელ ხსოვნას. იგი დააკლდა საყვარელ ოჯახს, საძმო-სამეგობროს, თოლორაიების სახელოვან საგვარეულოსა და სრულიად საქართველოს.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი წმინდა სული. ამინ!

დაკრძალვა: შაბათს, 14 ივლისს, 14 საათზე, ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხში.

ღრმა მწუხარებითა და დიდი პატივისცემით, ნუგზარ ნადარაია, სიმონ ზაქარაია, გია გვაზავა, ვახტანგ ყოლბაია, ვალენტინა და სერგო წურწუმიები, ვაჟა ეგრისელი, დავით გვაძაბია, მადონა და ჯემალ წურწუმიები, ზაურ კვიტია, მარეზ მურდულია, ტარიელ მუმლაძე, ლეონ ჯიქია, გურამ კუპატაძე, თეა ჭუმბურიძე, ია ზარნაძე-ლორთქიფანიძე, შაქრო კვირკვია, დოდო, ზურაბ და დავით ქუხილავები, გოგი ონიანი, კოტე გოგინავა, ზაზა შენგელია, მერაბ წურწუმია, მეგონა ჯომდავა, ნიკა წურწუმია, ჟილვერ ფარცვანია, ლანა ბერტაია, ჯაბა და ირაკლი წურწუმიები, ბაჩო სურმავა

გელა, ავთანდილ და დავით ყიფიანები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან სიყრმის მეგობრის, ჭეშმარიტი პატრიოტის

მიხეილ (მიშა) ლომთაძის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ მის ოჯახს, ახლობლებსა და მეგობრებს.

საქართველოს შრომის ვეტერანთა კავშირი „ქომაგი“ მწუხარებით იუწყება ქ.თბილისის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის, ღვაწლმოსილი ვეტერანისა და საზოგადო მოღვაწის

ნაზი ბითაძის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებს მის ოჯახს.

სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.

ჯოსვოიდი ბ

შვეულად: 1. ყალბი ან საეჭვო დებულებების მტკიცება სხვადასხვა ხრიკით; 2. საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების მწვრთნელი; 3. გრეიპფრუტის ქართული სახელწოდება; 4. მონასტერი სიღნაღის რაიონში; 5. უნაღდო ანგარიშსწორების ერთ-ერთი ფორმა; 6. შვედური ავტომობილი; 7. სასტუმროების ქსელის მფლობელი მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი კომპანია; 9. ღარიბთა უბნების სახელწოდება ბრაზილიის ქალაქებში; 13. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი სადაზღვევო კომპანია; 17. უბანი თბილისში; 18. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკური კულტურა.

თარაზულად: 1. გემის სამზარეულო; 3. ნაბეჭდი ტექსტის აღრიცხვის ერთეული; 8. ტროის ძველბერძნული სახელწოდება; 10. ალუმინის შემცველი მადანი; 11. მარადმწვანე წიწვოვანი ხე; 12. აეროპორტი რომში; 14. ფოტოგრაფის სახელოსნო; 15. ხელჩართული ორთაბრძოლის ქართული სკოლა; 16. კახეთის სამეფო დედაქალაქი; 19. ბრიტანული ყველი; 20. შექსპირის ტრაგედია; 21. ბალნეოლოგიური კურორტი კახეთში.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა



ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

12 ივლისისთვის

- აშშ დოლარი — 2.4448
- ევრო — 2.8773
- ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.2589
- 100 რუსული რუბლი — 3.8945

ამინდის პროგნოზი 12 ივლისისთვის

კანადელმა ბავშვები თეთრი დათვისგან გადაარჩინა, თავად კი დაიღუპა

კანადის ნუნავუტის ტერიტორიის სოფელ არვიატის მცხოვრები იმ დროს დაიღუპა, როდესაც ბავშვების თეთრი დათვისგან დაცვას ცდილობდა.

31 წლის აარონ გიბონსმა ბავშვები კუნძულ სენტრიზე წაიყვანა, რომელიც სოფლიდან 10 კილომეტრში მდებარეობს. ისინი მტაცებელ ცხოველს იმ დროს გადააწყდნენ, როდესაც ფრინველების კვერცხებს აგროვებდნენ. დათვი ბავშვებს თავს დაესხა, მაგრამ მას აარონი წინ გადაუდგა და ბავშვებს დაუყვირა,

რომ ნავისკენ გაქცეულიყვნენ.

გიბონსის უმცროსი გოგონა რაციით დაუკავშირდა ბებიას და თავდასხმის შესახებ ტირილით უამბო. პოლიციის ინფორმაციით, მამაკაცი ადგილზევე დაიღუპა, მისი ბავშვები არ დაშავებულან, ხოლო დათვი სხვა მამაკაცმა მოკლა, რომელიც შემთხვევის მახლობლად აღმოჩნდა.

– აარონი, შეიძლება ითქვას, რომ გმირულად დაიღუპა, – განაცხადა ჟურნალისტებთან საუბარში დაღუპულის ბიძაშვილმა.

ადგილობრივი მცხოვრებლები ჩივიან, რომ თეთრი დათვები სულ უფრო ხშირად ჩნდებიან მათი სოფლის მახლობლად. მონადირეთა ასოციაციის ხელმძღვანელი გორდი კიდლაპიკი ამაში ტურისტულ კომპანიას ადანაშაულებს, რომელსაც ტურისტები ამ ცხოველების საბინადრო ადგილებში დაჰყავს.

– მე ვნახე ფოტოსურათები, რომელზეც ჩანს, რომ ტურისტები დათვებს ღობის მეორე მხრიდან ხელით ეხებიან, – აცხადებს ის და ამტკიცებს, რომ ამის შედეგად მტაცებლებს ადამიანების აღარ ეშინიათ და სოფელთანაც იმიტომ უფრო თამამად მიდიან.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

იუმორი

სტადიონის შესასვლელში კონტროლიორი ბავშვს ეკითხება:

– ბიჭო, საიდან ფული ასეთ ძვირადღირებულ ბილეთზე?

– მამამ იყიდა...

– და მამაშენი სად არის?

– სახლში, ბილეთს ეძებს...

●●●

ქალი კაცს ეუბნება:

– თქვენ, მამაკაცები, უხეშები ხართ, მხოლოდ სექსი გჭირდებათ, ჩვენ, ქალებს კი ყურადღება გვინდა...

– ყურადღება, ახლა იქნება სექსი!

●●●

ცოლი და ქმარი მოდების ჩვენებას ესწრებიან. ცოლი ქმარს ეუბნება:

– რა პირდაღებული მისჩერებიხარ? ენა გადაყლაპე? თხუთმეტი წელია, დაქორწინებულები ვართ, რა, ცოცხლად ქალის ფეხები და მკერდი არ გინახავს?

– ჩუმად, სწორედ ეგ კითხვა დავუსვი ახლახან საკუთარ თავს.

●●●

ერთი ნაცნობი მეორეს ეკითხება:

– ხომ ვერ მეტყვი, რომელი საათია?

– ალბათ ორი იქნება... და შენ რა, საათი არ გაქვს?

– მქონდა, მაგარი საათი იყო, დარტყმის საწინააღმდეგო, წყალგაუმტარი, მტვრისგან დაცული...

– მერე, რა უყავი?

– ცეცხლში დაიწვა.

●●●

ინგლისელი ლორდი სახლიდან გადის, მოსამსახურე აცილებს და ეკითხება:

– სერ, თუ ქალბატონი თქვენთან გამომგზავნის, მითხარით, სად არ უნდა გეძებოთ?

●●●

ორი ნაცნობი საუბრობს, ერთი მეორეს ეკითხება:

– მასხრები მოგწონთ?

– ჩვენ გარშემო თუ ცირკში?

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ბოაი

BOAI

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

-გულ-სისხლძარღვთა დაავადებები, კუჭ-ნაწლავის ტრაქტი, ღვიძლი, სასუნთქი სისტემა
-ნერვულისისტემა, ხერხემალი, სახსრები
-კანის დაავადებები
-უროლოგია
-გინეკოლოგია

საუბეთესო ეფექტი მოკლე პერიოდში

მისამართი -ქ. თბილისი, დ.ყიფიანის ქ. 2
ტელეფონი - 2 47 91 12
10:00 – 19:00 სთ. შაბათ -კვირის ჩათვლით

იკითხეთ ქართული დეტექტივი ზაფხულის დღეებში!

6 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-6-7 ტომი

ავთანდილ ბუხრაშვილი

ვინ მოკლა ინსპექტორი

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

10 ივლისიდან გაიყიდება ქართული დეტექტივის მე-8 ტომი

მაკა სეფაშვილი

დანაშაული აღარ მოხდება

ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი

გაიცანით!

თქვენი ახალი სახელმძღვანელოები

ნაწილში მხატვრული ტექსტები დალაგებულია თემატური პრინციპით. წიგნებში შეტანილია მაღალმხატვრული ლიტერატურული ნაწარმოებები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოზარდების სოციალურ და კულტურულ აღზრდას. თხზულებების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები. შერჩეული ტექსტები ითვალისწინებს და ამდიდრებს მოზარდების ასაკობრივ ინტერესებსა და მათ გამოცდილებას. სახელმძღვანელოებში სათანადოდ არის ასახული როგორც კითხვის, ისე ზეპირი და წერითი მეტყველების მიმართულებები. ბალანსი სტანდარტის მიმართულებებს შორის დაცულია.

ორივე სახელმძღვანელოს მეორე ნაწილი ემსახურება პირველ ნაწილში მოცემული ლიტერატურული ან საინფორმაციო ტექსტის უკეთესად გაგება-ათვისებას. აქედან გამომდინარე, სახელმძღვანელო არ ისახავს მიზნად მხოლოდ გრამატიკული ცნებების სწავლებასა და კატეგორიების აღწერა-კლასიფიკაციას, არამედ მათი პრაქტიკული გამოყენებისათვის ხელშეწყობას კონკრეტულ სამეტყველო, წერით და ზეპირ სიტუაციებში. ენობრივი საკითხების სწავლებისას დაუშვებელია ამა თუ იმ ენობრივი ცნების დეფინიციის ან განმარტების ზეპირად სწავლის მოთხოვნა მოსწავლეებისათვის. იგივე უნდა ითქვას ამა თუ იმ ლიტმცოდნეობითი ტერმინის სპეციალურად ფონზე წარმოდგენილი განმარტების სწავლებაზეც. არ არის აუცილებელი ლიტმცოდნეობითი ტერმინის განმარტების ზეპირად ცოდნა. მთავარი მიზანია მისი პოვნა და ფუნქციის დადგენა გასაანალიზებელ ტექსტში.

სახელმძღვანელოები ტექნიკური თვალსაზრისით გამართულია. დაცულია ის მოთხოვნები, რომლებიც წაეყენება საკონკურსო სახელმძღვანელოებს წიგნის ფორმატის, ილუსტრაციების, სტრიქონის ზომის, სტრიქონებს შორის ინტერვალის, შრიფტების სახეებისა და რაოდენობის თვალსაზრისით. სახელმძღვანელოებში მოცემულ მასალას ახლავს მკაფიო და დამაინტერესებელი ილუსტრაციები. სიუჟეტური სურათები აღსაქმელად კარგია და ემსახურება მხატვრული თუ საინფორმაციო ტექსტის შინაარსისა თუ ქვეტექსტების მოსწავლისთვის გასაგებად მიწოდებას. თითოეული რუბრიკის, აქტივობისა თუ სხვადასხვა დონის კითხვებისა და დავალებების უკეთ ამოსაცნობად გამოყენებულია სპეციალური ნიშნები.

სახელმძღვანელოების სრული კომპლექტის ელექტრონული ფაილების ნახვა შეგიძლიათ გამომცემლობის ვებგვერდზე –www.artanuji.ge

V და VI კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები ორნაწილიანია. ორივე კლასის სახელმძღვანელოს პირველ ნაწილში შედის ჟანრულად მრავალფეროვანი და მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით მაღალხარისხოვანი ორიგინალური და ნათარგმნი ტექსტები ლიტმცოდნეობითი აპარატით, ხოლო მეორე ნაწილში ენობრივი საკითხები ერთიანდება. **ორივე კლასის სახელმძღვანელოს ერთვის რვეული, რომელიც ინდივიდუალურია და ყველა მოსწავლეს უნდა ჰქონდეს დავალების შესასრულებლად.** მხოლოდ რვეულში აკეთებს მოსწავლე ჩანაწერებს. წიგნის არც ერთ ნაწილში არ არის ისეთი დავალება, რომელიც ჩაწერას მოითხოვს.

მართალია, სახლმძღვანელო იყოფა ორ ნაწილად, მაგრამ თავად სწავლება ავტორს წარმოუდგენია ერთიან პროცესად. ამიტომ გადასვლა ლიტერატურის საკითხებიდან ენობრივ საკითხებზე ხდება საგაკვეთილო მიზნის მიხედვით, რაც ასახულია თემატურ-კალენდარული გეგმის შემოთავაზებულ სარეკომენდაციო ვარიანტში. მასწავლებლები ნახავენ, რომ აქ არ არის გამიჯვნა ენად და ლიტერატურად. მთავარ მიზნად დასახულია სასწავლო ტექსტის ანალიზი და არა რომელიმე ლიტმცოდნეობითი ან ენობრივი საკითხის სწავლება იზოლირებულად.

სახელმძღვანელო სრულად მოიცავს ეროვნული სასწავლო გეგმის ქართული ენისა და ლიტერატურის V-VI კლასების საგნობრივი პროგრამის შინაარსს, ხელს უწყობს სტანდარტით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. თემატურად სახელმძღვანელო მრავალფეროვანია, მასში შეტანილი ნაწარმოებები მხატვრულ-ესთეტიკური თვალსაზრისით სათანადო დონეზე დგას და უთუოდ დაინტერესებს მეხუთეკლასელ მოსწავლეებს. სახელმძღვანელოების სერია დაეხმარება მოსწავლეს ახალი მასალის საფუძვლიანად ათვისებაში, ხელს შეუწყობს მის აქტიურად ჩართვას სასწავლო პროცესში, ხოლო მასწავლებლისთვის სასარგებლო იქნება ამ პროცესის სრულყოფილად წარმართვისა და პროფესიული განვითარების თვალსაზრისით.

V და VI კლასის ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოების პირველ